

შპს რუსელოის

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31
დეკემბერს

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	7
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	10
2. მომზადების საფუძვლები	10
3. კომპანიის არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა	13
4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	24
5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა.....	25
6. ბიზნესის შეძენა.....	29
7. ამონაგები.....	30
8. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	30
9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	31
10. ფინანსური ხარჯები, წმინდა	31
11. მოგება საკუთროს სხვაობიდან, წმინდა	31
12. ძირითადი საშუალებები	32
13. ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში.....	33
14. მარაგები.....	33
15. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	33
16. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	34
17. სხვა რეზერვები	35
18. მიღებული სესხები	35
19. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	36
20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	37
21. პირობითი ვალდებულებები	37
22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	39
მმართველობის ანგარიშგება.....	41

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „რუსელოისის“ მეწილეებს და ხელმძღვანელობას

უარი მოსაზრების გამოთქმაზე

ჩვენ დაგვიკირავეს შპს „რუსელოისის“ (შემდგომში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე, აღნიშნული თარიღით დამთავრებული სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას კომპანიის თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენი დასკვნის - "მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი" - ნაწილში აღწერილი საკითხების მნიშვნელობის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

როგორც ფინანსური ანგარიშგების მე-6 შენიშვნაშია მოცემული 2016 წელს კომპანიამ შპს რუსმეტალისგან შეიძინა აქტივების ჯგუფი, რომელიც ფასს 3-ის „საწარმოთა გაერთიანება“ მიხედვით აღირიცხება როგორც ბიზნესის შეძენა. კომპანიამ ფასს 3-ის მოთხოვნების შესაბამისად, შეაფასა შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივების რეალური ღირებულება. შეფასება განხორციელდა დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ შეფასებული აქტივების შეფასების სამუშაო ფაილები, შესაბამისად, ვერ შევძელით ბიზნესის შეძენის ფარგლებში შეძენილი აქტივების (ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები) ღირებულების დადასტურება, რომელთა საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია 9,229,426 ლარის ღირებულებით (2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 9,311,075 ლარი). შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ძირითად საშუალებებთან, არამატერიალურ აქტივებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იდენტიფიცირდება კომპანიის გრძელვადიანი აქტივების გაუფასურების ნიშნები, რომელიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილია 15,033,571 ლარის ღირებულებით, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 15,171,622 ლარის ღირებულებით. 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ აქვს ჩატარებული ზემოაღნიშნული აქტივების გაუფასურების ტესტირება, როგორც ეს მოითხოვება ბასს 36-ის „აქტივების გაუფასურება“ მიხედვით. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა, რაიმე კორექტირების შეტანა გრძელვადიანი აქტივების და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ მივიღეთ მესამე მხარის დასტურის წერილები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებზე, რომლებიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასახულია ჯამური ღირებულებით 4,246,633 ლარი (31.12.2022: 1,821,716 ლარი). ჩვენ ვერ შევძელით სხვა ალტერნატიული პროცედურით დაგვედასტურებინა სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. შედეგად, ვერ დავადგინეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირებების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს სავაჭრო მოთხოვნა ეს-ტი-ემ კომპანი ლიმიტედთან (STM-GROUP COMPANY LIMITED) 19,089,222 ლარის ოდენობით, საიდანაც 11,858,467 ლარის მოთხოვნის გაუფასურებასთან დაკავშირებით ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და აუცილებელი აუდიტორული მტკიცებულებები. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში, აგრეთვე სრული შემოსავლის ანგარიშგების,

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში.

როგორც განხილულია ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნაში, მომზადების საფუძვლები - ფუნქციონირებადი საწარმო, კომპანიის დაგროვილი ზარალი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 54,976,658 ლარს (31.12.2022: 44,473,406 ლარი), კომპანიას აქვს უარყოფითი ლიკვიდურობის სხვაობა (სხვაობა მოკლევადიან აქტივებსა და ვალდებულებებს შორის) 63,167,465 ლარის ოდენობით (31.12.2022: 46,103,344 ლარი), ასევე 2023 წელს კომპანიამ მიიღო წმინდა ზარალი 10,503,252 ლარის ოდენობით. კომპანიას აქვს შეზღუდვები საფინანსო ინსტიტუტებიდან მიღებულ სესხებთან დაკავშირებით, რომლებსაც ვერ აკმაყოფილებს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ზემოაღნიშნული მოვლენები მიუთითებს, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს ბადებს კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა განაგრძოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. როგორც ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნაშია განმარტებული, კომპანიის ხელმძღვანელობა მიზანშეწონილად მიიჩნევს „ფუნქციონირებადი საწარმოს“ დაშვებას და ამ დაშვების საფუძველზე წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარმოდგენას, თუმცა ხელმძღვანელობამ ვერ შეძლო საკმარისი აუდიტორული მტკიცებულებების წარმოდგენა თავისი სამომავლო გეგმების გასამყარებლად. ყოველივე ამის შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით იმის განსაზღვრა, მიზანშეწონილი იყო თუ არა ხელმძღვანელობის მიერ „ფუნქციონირებადი საწარმოს“ დაშვება.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მმართველობის ანგარიშგებას. იმ მიზეზების გამო, რომლებიც მოყვანილია მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძვლის ნაწილში, ჩვენ ვერ შევძელით მოსაზრების გამოთქმა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

რაც შეეხება მმართველობის ანგარიშგებას, ჩვენი სამუშაო შემოიფარგლებოდა იმით, რომ განგვესაზღვრა შეიცავს თუ არა მმართველობის ანგარიშგება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებს. ჩვენი აზრით, მხოლოდ ამ პროცედურებზე დაყრდნობით:

- 2023 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- 2023 წლის მმართველობის ანგარიშგება მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას;

აუდიტორის დასკვნაში, ჩვენი მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძვლის ნაწილში აღწერილი საკითხების მნიშვნელობიდან გამომდინარე, ჩვენ არ გვაქვს შესაძლებლობა, აზრი გამოვთქვათ მმართველობის ანგარიშგებაში არსებობს თუ არა არსებითი უზუსტობა.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატაროთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გავცეთ აუდიტორის დასკვნა. თუმცა, ჩვენი დასკვნის “მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი” ნაწილში აღწერილი საკითხების გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:

დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-735032)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

20 ნოემბერი 2024 წელი

შპს რუსელოის

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები	7	49,683,571	56,439,452
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	8	(50,199,970)	(56,845,405)
საერთო ზარალი		(516,399)	(405,953)
სხვა შემოსავალი		65,902	36,316
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	9	(6,182,402)	(2,672,783)
მიწოდების ხარჯები		-	(110,577)
გაუფასურების ხარჯი		(100,071)	(5,288)
საოპერაციო ზარალი		(6,732,970)	(3,158,285)
ფინანსური ხარჯები, წმინდა	10	(3,854,542)	(3,670,671)
მოგება საკუროსო სხვაობიდან, წმინდა	11	84,260	6,741,602
ზარალი დაბეგვრამდე		(10,503,252)	(87,354)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მთლიანი სრული ზარალი		(10,503,252)	(87,354)

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, 2024 წლის 20 ნოემბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი

ნუგზარ კველიშვილი

მთავარი ბუღალტერი

ნათია კირთაძე

შპს რუსელოის

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები	7	49,683,571	56,439,452
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	8	(50,199,970)	(56,845,405)
საერთო ზარალი		(516,399)	(405,953)
სხვა შემოსავალი		65,902	36,316
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	9	(6,182,402)	(2,672,783)
მიწოდების ხარჯები		-	(110,577)
გაუფასურების ხარჯი		(100,071)	(5,288)
საოპერაციო ზარალი		(6,732,970)	(3,158,285)
ფინანსური ხარჯები, წმინდა	10	(3,854,542)	(3,670,671)
მოგება საკუროსო სხვაობიდან, წმინდა	11	84,260	6,741,602
ზარალი დაბეგვრამდე		(10,503,252)	(87,354)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მთლიანი სრული ზარალი		(10,503,252)	(87,354)

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, 2024 წლის 20 ნოემბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი



მთავარი ბუღალტერი

ნუგზარ კველიშვილი
ნათია კირთაძე

10-40 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს რუსელოს

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	12	14,565,172	15,007,056
აქტივების გამოყენების უფლება		244,669	149,186
არამატერიალური აქტივები		223,730	15,380
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	13	15,800	11,000
სულ გრძელვადიანი აქტივები		15,049,371	15,182,622
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	14	8,912,265	4,089,648
საგადასახადო აქტივი		-	422,627
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15	20,593,316	627,523
ფული და ფულის ეკვივალენტები	16	28,286	1,168,400
სულ მოკლევადიანი აქტივები		29,533,867	6,308,198
სულ აქტივები		44,583,238	21,490,820
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
სხვა რეზერვი	17	6,603,380	4,579,054
დაგროვილი ზარალი		(54,976,658)	(44,473,406)
სულ კაპიტალი		(48,373,278)	(39,894,352)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	18	-	8,823,204
საიჯარო ვალდებულებები		255,184	150,426
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		255,184	8,973,630
მოკლევადიანი ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები		358,710	-
საიჯარო ვალდებულებები		44,514	53,782
მიღებული სესხები	18	51,764,261	37,409,479
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19	40,533,847	14,948,281
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		92,701,332	52,411,542
სულ ვალდებულებები		92,956,516	61,385,172
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		44,583,238	21,490,820

10-40 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს რუსელოს

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	დაგროვილი ზარალი	სხვა რეზერვები	სულ
31.12.2021	(44,386,052)	3,875,798	(40,510,254)
მთლიანი სრული ზარალი	(87,354)	-	(87,354)
სხვა რეზერვები	-	703,256	703,256
31.12.2022	(44,473,406)	4,579,054	(39,894,352)
მთლიანი სრული ზარალი	(10,503,252)	-	(10,503,252)
სხვა რეზერვები	-	2,024,326	2,024,326
31.12.2023	(54,976,658)	6,603,380	(48,373,278)

10-40 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს რუსელოს

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
ზარალი დაბეგვრამდე		(10,503,252)	(87,354)
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		1,555,840	1,471,658
მოთხოვნების და გადახდილი ავანსების	15	401,124	304,954
გაუფასურების რეზერვის ცვლილება		-	23,261
ძირითადი საშუალებების ჩამოწრა		3,854,542	3,670,671
ფინანსური ხარჯი, წმინდა	10	(37,465)	(29,617)
საიჯარო შეღავათები		(84,260)	(6,741,602)
წმინდა მოგება საკუროს სხვაობიდან	11		
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		(4,813,471)	(1,388,029)
საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე			
მარაგების შემცირება/(ზრდა)		(4,822,617)	1,715,983
საეჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება/(ზრდა)		(20,322,825)	687,680
საეჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა		25,654,064	2,112,917
საგადასახადო ვალდებულებების (შემცირება)/ზრდა		781,337	(780,466)
საოპერაციო საქმიანობისთვის		(3,523,512)	2,348,085
(გამოყენებული)/მიღებული ფულადი სახსრები			
საოპერაციო საქმიანობისთვის		(3,523,512)	2,348,085
(გამოყენებული)/მიღებული წმინდა ფულადი			
სახსრები			
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(1,062,154)	(1,820,072)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(210,423)	-
ერთობლივ საწარმოში ინვესტიცია		(4,800)	(5,000)
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული		(1,277,377)	(1,825,072)
წმინდა ფულადი ნაკადები			
ფულადი სახსრები			
საფინანსო საქმიანობიდან			
სესხის მიღება		16,478,442	10,061,666
სესხის გადახდა		(12,236,859)	(8,866,640)
გადახდილი პროცენტები		(277,468)	(378,798)
საიჯარო ვალდებულების ძირის გადახდა		(14,957)	(4,760)
საიჯარო ვალდებულების პროცენტის გადახდა		(11,834)	(17,645)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა		3,937,324	793,823
ფულადი ნაკადები			
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)		(863,565)	1,316,836
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	16	1,168,400	138,979
ფულადი სახსრების გადაფასებიდან მიღებული		(276,549)	(287,415)
ზარალი			
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	16	28,286	1,168,400

10-40 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს რუსელოს

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს რუსელოს (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2015 წელს. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ფეროშენადნობთა წარმოება და რეალიზაცია. გარდა ფეროშენადნობთა წარმოებისა, კომპანია ფლობს მანგანუმის მადნის მოპოვებაზე რამდენიმე ლიცენზიას დასავლეთ საქართველოში, მოიპოვებს მადანს და აწარმოებს მანგანუმის კონცენტრატს საკუთარ გამამდიდრებელ ქარხანაში ქ. თერჯოლაში.

კომპანიის 100%-იან მფლობელს წარმოადგენს WINDMOON LIMITED. კომპანიის საბოლოო ბენეფიციარს და მაკონტროლებელს წარმოადგენს ფიზიკური პირი ბატონი ჯანი მიხაილოვი.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ბროსეს ქ., N 2, საოფისე ფართი N21.

კომპანიის გენერალური დირექტორია ბატონი ნუგზარ კველიშვილი.

2. მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს–ები) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების ფასს–ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური მდგომარეობა. კომპანიის დაგროვილი ზარალი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 54,976,658 ლარს (31.12.2022: 44,473,406 ლარი), კომპანიას აქვს უარყოფითი ლიკვიდურობის სხვაობა (სხვაობა მოკლევადიან აქტივებსა და ვალდებულებებს შორის) 63,167,465 ლარის ოდენობით (31.12.2022: 46,103,344 ლარი), ასევე 2023 წელს კომპანიამ მიიღო წმინდა ზარალი 10,503,252 ლარის ოდენობით. აღნიშნულს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაძლოა ჰქონდეს ნეგატიური გავლენა კომპანიის საოპერაციო საქმიანობაზე მომავალში.

მიღებულ სესხებთან დაკავშირებული კოვენანტები. კომპანიას აქვს კოვენანტები საფინანსო ინსტიტუტებიდან მიღებულ სესხებთან დაკავშირებით, რომლებსაც ვერ აკმაყოფილებს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. 2024 წელს კომპანიამ მოიპოვა წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული დარღვევების გამო, ბანკი არ ითხოვს სესხის ვადაზე ადრე დაფარვას, თუმცა, მოთხოვნების დარღვევის გაგრძელების შემთხვევაში, განუსაზღვრელია ბანკი გამოიყენებს თუ არა ხელშეკრულებით მინიჭებულ უფლებებს 2024 წლის 1 იანვრის შემდგომ. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 22.

შპს რუსელოს

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ეს მოვლენები და პირობები, სხვა საკითხებთან ერთად, მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ექვეს ბაზებს კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. მიუხედავად ზემოთ აღწერილი მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობებისა, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის მიზანშეწონილია კომპანიისთვის და იგი მოახდენს თავისი აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში შემდეგი მიზეზების გამო:

- კომპანიის ხელმძღვანელობამ საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე მიიღო დამფუძნებლის წერილი, რომლის მიხედვითაც კომპანიის მფლობელი მზად არის კომპანიისთვის ხელმისაწვდომი გახადოს დამატებითი ფინანსური რესურსები, საჭიროების შემთხვევაში. ფინანსური რესურსები შესაძლებელია წარმოადგენდეს შემდეგს: შენატანი კაპიტალში, ფინანსირება სუბორდინირებული სესხების მეშვეობით, და ასე შემდეგ. (დეტალები წარმოდგენილია 22-ე შენიშვნაში);

- კომპანიის სესხების არსებითი ნაწილი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიღებული აქვს დაკავშირებული მხარეებისგან, რომელთა გადახდის გადავადებაც საჭიროებისამებრ ხდება პერიოდულად მხარეთა შეთანხმებებით.

- კომპანიამ 2024 წელს საოპერაციო საქმიანობის დასაფინანსებლად დაკავშირებული მხარისგან მიიღო სესხები ჯამურად 8,034,425 ლარის ოდენობით (დეტალები წარმოდგენილია 22-ე შენიშვნაში).

- საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, მოცემული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე, კომპანიამ განახორციელა 19,849,167 ლარის ღირებულების ფეროქრომის და 15,612,409 ლარის ღირებულების ფერო-სილიკო-მანგანუმის რეალიზაცია (დეტალები წარმოდგენილია 22-ე შენიშვნაში).

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკებში

ა) 2023 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში შესული სტანდარტები და შესწორებები:

ფასს 17 სადაზღვევო კონტრაქტები. ფასს 17 ნერგავს საერთაშორისო თანმიმდევრულ მიდგომას სადაზღვევო ხელშეკრულების აღრიცხვის მიმართ. ფასს 17-მდე, მთელ მსოფლიოში არსებობდა მნიშვნელოვანი სხვადასხვაობა სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვასა და წარდგენასთან დაკავშირებით, ფასს 4 ნებას რთავდა მრავალ (არა-ფასს) სააღრიცხვო მიდგომას. ფასს 17-ის ძალაში შესვლა გამოიწვევს მნიშვნელოვან ცვლილებებს ბევრი მზღვეველისთვის, რაც გულისხმობს არსებული სისტემებსა და პროცესებში ცვლილების შეტანას.

ახალი სტანდარტის ხედვით, სადაზღვევო ხელშეკრულება მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტის და მომსახურების ხელშეკრულების ელემენტებს, ამასთან გამომუშავებული ფულადი ნაკადების დიდი ნაწილი არსებითად ცვალებადია დროთა განმავლობაში. შედეგად, სტანდარტი აყალიბებს შემდეგ მიდგომებს:

- მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების აღიარება მოგებასა და ზარალში იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ხდება მომსახურების გაწევა ხელშეკრულების თანახმად;
- სადაზღვევო მომსახურების შედეგების (მათ შორის სადაზღვევო შემოსავლის) წარდგენა სადაზღვევო ფინანსური შემოსავლის ან ხარჯებისგან განცალკევებით;
- სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევანი ცალკეული პორტფელის მიმართ სადაზღვევო ფინანსური შემოსავლის ან ხარჯის მთლიანად მოგებასა და ზარალში წარდგენასთან ან ნაწილობრივ სრულ შემოსავალში წარდგენასთან დაკავშირებით.

ფასს 17-ის გამოცემის შემდეგ, სტანდარტში შევიდა შესწორებები და გადავადდა ძალაში შესვლის თარიღი.

სააღრიცხვო პოლიტიკების წარდგენა (შესწორება- ბასს 1 და ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2) – 2021 წლის თებერვალში, IASB-იმ გამოსცა ბასს 1-ის შესწორება, რომელიც ცვლის სააღრიცხვო პოლიტიკის წარდგენის მოთხოვნებს „მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის“ „არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაციით“. მოცემული შესწორება იძლევა მითითებას იმის შესახებ, როდის არის მოსალოდნელი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია იქნას არსებითად მიჩნეული. აღნიშნული შესწორება ძალაშია იმ ფინანსური ანგარიშგებისთვის, რომელთა საანგარიშგებო პერიოდი იწყება 2023 წლის 1 იანვრიდან. ადრეული გადასვლა ნებადართულია. რადგან ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2 არ წარმოადგენს სავალდებულო სახელმძღვანელოს, არ მომხდარა სავალდებულო ძალაში შესვლის თარიღის განსაზღვრა ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2-ის შესწორებასთან მიმართებაში.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (ბასს 8-ის შესწორება) - 2021 წლის თებერვალში, IASB-იმ გამოსცა ბასს 8-ის შესწორება, რომელმაც დაამატა სააღრიცხვო შეფასებების განმარტება ბასს 8-ში. შესწორებაში ასევე დაზუსტდა, რომ სააღრიცხვო შეფასებაზე ამოსავალი მონაცემების ან შეფასების მეთოდის ცვლილების გავლენით გამოწვეული შედეგი წარმოადგენს სააღრიცხვო შეფასების ცვლილებას, თუკი მონაცემების ან შეფასების მეთოდის ცვლილება გამოწვეული არ არის წინა პერიოდის შეცდომების გასწორებით.

გადავადებული გადასახადი, რომელიც უკავშირდება ერთი ოპერაციიდან წარმოქმნილ აქტივებს და ვალდებულებებს (ბასს 12-ის შესწორება). 2021 წლის მაისში, IASB-იმ გამოსცა ბასს 12-ის შესწორება, რომელიც აკონკრეტებს, ვრცელდება თუ არა თავდაპირველი აღიარების გამონაკლისი გარკვეულ ოპერაციებზე, რომლებიც იწვევს როგორც აქტივის, ასევე ვალდებულების სიმულაციურად აღიარებას (მაგ: იჯარა ფასს 16-ის შესაბამისად). შესწორების შედეგად, ბასს 12.15-ს დაემატა კრიტერიუმი თავდაპირველი აღიარების გამონაკლისთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც გამონაკლისი არ ვრცელდება აქტივების ან ვალდებულების თავდაპირველ აღიარებაზე, რომლებიც წარმოშობს თანაბარი ოდენობის დასაბეგრ და გამოსაქვით დროებით სხვაობებს.

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, აღნიშნულ ცვლილებებს არ აქვს არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2024 წლის 1 იანვრიდან

მიწოდების ფინანსური შეთანხმებები (შესწორება ბასს 7-ში და ფასს 7-ში). 2023 წლის მაისში, IASB-იმ გამოუშვა მიწოდების ფინანსური შეთანხმებები, რომელიც წარმოადგენს ბას 7-ის ფულადი ნაკადების ანგარიშგებების და ფასს 7-ის ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნების შესწორებას. აღნიშნული შესწორებები წარმოიშვა IFRS-ის ინტერპრეტაციის კომიტეტისგან მიღებული წარდგენის შედეგად, რომელიც შეეხებოდა ვალდებულებებს და მასთან დაკავშირებულ, მიწოდების ჯაჭვის დაფინანსების შეთანხმებებიდან წარმოშობილ ფულად ნაკადებს და მათ განმარტებით შენიშვნებს. 2020 წლის დეკემბერში, კომიტეტმა გამოაქვეყნა აგენდა გადაწყვეტილება მიწოდების ჯაჭვის დაფინანსების შეთანხმებებთან დაკავშირებით - რევერსული ფაქტორინგი, რომელიც შეეხებოდა აღნიშნულ წარდგენას დაფუძნებულს ფინანსური აღრიცხვის სტანდარტების მოთხოვნებზე, მოცემული პერიოდისთვის. აღნიშნული პროცესის განმავლობაში, დაინტერესებული მხარეების უკუკავშირმა აჩვენა ამ დროისთვის არსებული მოთხოვნების შეზღუდვები, რომელიც უკავშირდება მომხმარებელთა მნიშვნელოვანი ინფორმაციის საჭიროებების დაკმაყოფილებას, რათა გასაგები იყოს მიწოდების ფინანსური შეთანხმებები საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებებში და შესაძლებელი გახდეს საწარმოების ერთმანეთთან შედარება. ამ უკუკავშირის საპასუხოდ, IASB-იმ შეიმუშავა ვიწრო მასშტაბის სტანდარტის კორექტირება, რამაც გამოიწვია შესწორება. შესწორებები მოითხოვს, საწარმოებმა მოამზადონ გარკვეული სპეციფიური განმარტებები (ხარისხობრივი და რაოდენობრივი), რომელიც შეეხება მიწოდების ფინანსურ შეთანხმებებს. შესწორებები ასევე იძლევა მითითებებს მიწოდების ფინანსური შეთანხმებების მახასიათებლებზე.

საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას (ფასს 16-ის შესწორება). 2020 წლის ივნისში ფასს ინტერპრეტაციების საბჭომ გამოსცა დღის წესრიგის გადაწყვეტილება ცვლადი საიჯარო გადახდებიანი უკუიჯარის პირობით გაყიდვასთან დაკავშირებით. აღნიშნული საკითხი გადაეცა IASB-ს ზოგიერთი ასპექტის სტანდარტში გათვალისწინების მიზნით. 2022 წლის სექტემბერში IASB-იმ გამოსცა საბოლოო შესწორება.

შესწორების თანახმად გამყიდველ-მოიჯარეს მოეთხოვება იმგვარად განსაზღვროს „საიჯარო გადახდები“ ან „გადასინჯული საიჯარო გადახდები“, რომ არ აღიაროს გამყიდველი-მოიჯარის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ოდენობის მოგება ან ზარალი.

ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად (ბასს 1-ში შესწორება) 2020 წლის იანვარში IASB-იმ გამოსცა ბასს 1-ის შესწორება ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციასთან დაკავშირებით. ხოლო 2022 წლის ოქტომბერში შემდგომი შესწორება განხორციელდა კოვენანტებიან გრძელვადიან ვალდებულებებთან მიმართებაში. შესწორების თანახმად, საწარმოს მოეთხოვება გააჩნდეს ვალდებულების დაფარვის გადავადების არსებითი უფლება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სულ მცირე თორმეტი თვით და აღნიშნული უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულების კლასიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს ალბათობა იმისა, რომ საწარმო გამოიყენებს უფლებას საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვით გადავადებასთან დაკავშირებით. COVID-19 პანდემიის შედეგად შესწორების ძალაში შესვლის თარიღი გადაიწია ერთი წლით და ეფექტურია იმ ფინანსური ანგარიშგებისთვის, რომელთა საანგარიშგებო პერიოდი იწყება 2024 წლის 1 იანვარიდან.

შპს რუსელოს

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

კოვენანტიანი გრძელვადიანი ვალდებულებები (ბასს 1-ში შესწორება) ბასს 1-ში ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად შესწორების გამოცემის შემდგომ, 2022 წლის ოქტომბერში IASB-იმ კვლავ შეასწორა ბასს 1. თუ საწარმოს გადავადების უფლება წარმოადგენს კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების საგანს, ასეთი პირობები გავლენას ახდენს მაშინ, როცა უფლება არსებობს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საწარმომ შეასრულოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე ან დასრულებისას და არა მაშინ, როცა საწარმო ვალდებულია დააკმაყოფილოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ.

აღნიშნული შესწორება, ასევე, განმარტავს „დაფარვის“ მნიშვნელობას, ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციის მიზნით. ბანკის ხელმძღვანელობის შეფასებით აღნიშნულ ცვლილებებს არ ექნება არსებითი გავლენა ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

გ) სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2025 წლის 1 იანვრიდან

გასაცვლელი სავალუტო კურსის არ არსებობა (შესწორება ბასს 21-ში) 2023 წლის 15 აგვისტოს, IASB-იმ გამოსცა გასაცვლელი კურსის არ არსებობა, რომელიც წარმოადგენს ბასს 21-ის, უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგების, შესწორებას (შესწორებები).

შესწორება წარმოიშვა IFRS-ის ინტერპრეტაციის კომიტეტისგან მიღებული წარდგენის შედეგად, რომელიც შეეხება ვალუტის კურსის განსაზღვრას, როდესაც გასაცვლელი კურსის არ არსებობს გრძელ ვადიან პერიოდში. შესწორებამდე, ბასს 21-ი არ მოიცავდა აშკარა მოთხოვნებს გასაცვლელი კურსის განსაზღვრასთან დაკავშირებით, როდესაც ვალუტა არ იცვლება სხვა ვალუტაში, რაც წარმოშობდა პრაქტიკაში აღრიცხვის მრავალფეროვნებას. კომიტეტმა გასცა რეკომენდაცია, რომ IASB-ს შემუშავებინა ბასს 21-ში ვიწრო მასშტაბის შესწორება აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად. შემდგომი განხილვების შედეგად, 2021 წლის აპრილში IASB-იმ გამოსცა განმარტებითი დრაფტი ბასს 21-თან დაკავშირებულ შესწორებებზე და საბოლოო შესწორება გამოიცა 2023 წლის აგვისტოში. შესწორება წარმოადგენს მოთხოვნას, შეფასდეს როდის იცვლება ვალუტა სხვა ვალუტაში და როდის არა. შესწორება საწარმოს სთხოვს განსაზღვროს სპოტ სავალუტო კური, როდესაც საწარმო დაასკვნის რომ ვალუტა სხვა ვალუტაში არ იცვლება.

სხვა

კომპანიის ხელმძღვანელობას არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებული სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. კომპანიის არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

შეფასების და წარსადგენი ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარებში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთა შორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „მოგება/ (ზარალი) საკუროს სხვაობიდან, წმინდა“.

უცხოური ვალუტაში არსებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2023 და 2022 წლების 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8844

3. კომპანიის არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება კომპანიის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან, ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. კომპანია საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას.

შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით და რომელიც აღიარებულია ხარჯად მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. კომპანია სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს, რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, გაცემულ სესხებს და ფული და ფულის ეკვივალენტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს სალაროში არსებულ ფულს, ფულს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის (ECL)

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღით აფასებს ფინანსური და სახელშეკრულებო აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს და აღიარებს წმინდა გაუფასურების ზარალს.

კომპანია ფინანსური აქტივების გაუფასურების მეთოდოლოგიისთვის იყენებს გამარტივებულ მეთოდს, რათა განსაზღვროს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. იმისათვის, რათა განისაზღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი ჯგუფურად, მოთხოვნები ჯგუფდება მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს აქვს მსგავსი რისკიანობის მახასიათებელი.

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. კომპანია საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი.

3. კომპანიის არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის კალკულაციისთვის იყენებს ყველა მიზანშეწონილ და დასაბუთებულ ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია მეტისმეტი დანახარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს წარსული მოვლენების, არსებული მდგომარეობისა და სამომავლო ვითარების პროგნოზის შესახებ.

სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით და რომელიც აღიარებულია ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. კომპანია სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს, რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

ფინანსური აქტივები – ჩამოწერა

ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც კომპანია ამოწურავს თანხის ამოღების ყველა პრაქტიკულ შესაძლებლობას და დაასკვნის, რომ აღარ არსებობს თანხის ამოღების გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას. კომპანიამ შეიძლება ჩამოწეროს ფინანსური აქტივები, რომელთა მიმართ აღსრულების ღონისძიებები ჯერ კიდევ ხორციელდება, როდესაც კომპანია ცდილობს იმ თანხების ამოღებას, რომელთა გადახდის სახელშეკრულებო ვადა დადგა, თუმცა, არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) მოხდა აქტივების გამოსყიდვა ან მათთან დაკავშირებულ ფულადი ნაკადებზე უფლების ვადის გასვლა ან (ბ) კომპანიამ სხვას გადასცა ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადო გარიგება, რომლითაც (i) აგრეთვე გადასცა აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკი და უკუგება ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული.

ფინანსური ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ოპერაციის მიზნიდან გამომდინარე კომპანია ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. კომპანიას ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან.

მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლდება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, რომელსაც მეტწილად განსხვავებული პირობები აქვს ან თუ არსებული ვალდებულების პირობები მეტწილად შეიცვლება. ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება აღირიცხება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო განსხვავება შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

3. კომპანიის არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ამონაგები კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

კომპანიის შემოსავლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს მომხმარებლებისათვის ფეროშენადნობთა და მანგანუმის კონცენტრატის მიწოდება. დეტალური სააღრიცხვო პოლიტიკა შემოსავლის მაფორმირებელი ძირითადი საქმიანობისთვის წარმოდგენილია ქვემოთ:

შესასრულებელი ვალდებულება და შემოსავლის აღიარების დროულობა

კომპანია აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შესრულებს.

კომპანია შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამისი ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

სახელშეკრულებო ღირებულების განსაზღვრა

კომპანიის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან და სხვა ერთჯერადი მომსახურებიდან აღიარდება მაშინ, როდესაც კონტროლი მოცემულ აქტივზე გადაეცემა მომხმარებელს ან ერთჯერადი მომსახურება არის მიწოდებული.

ფასები თითოეული პროდუქტის მიხედვით ფიქსირებულია და არ მოიცავს რეალიზებულ საქონელზე სარეალიზაციო ფასის გადანაწილებისას შეფასების ელემენტს. როდესაც მომხმარებელი ახდენს ერთზე მეტი სახეობის საქონლის შესყიდვას, კომპანიას შეუძლია მარტივად მოახდინოს სარეალიზაციო ფასების მკვეთრი გამოიჯვნა კონტრაქტის ფარგლებში პროდუქციის ცალკე აღებული სარეალიზაციო ფასების მიხედვით.

გამოყენებული გათავისუფლება

კომპანიამ გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

- არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და
- ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს ბასს 16 „ძირითადი საშუალებების“ შესაბამისად.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შპს რუსელოს

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

3. კომპანიის არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთას და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. მიწა და დაუმთავრებელი მშენებლობა არ ცვედება.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი

შენობები და კონსტრუქციები

მანქანა-დანადგარები

ავტომობილები

საოფისე აღჭურვილობა

სასარგებლო მომსახურების ვადა

7-20

3-20

5-15

5-15

პერიოდის ცვეთის ხარჯი ნაწილდება ადმინისტრაციულ ხარჯსა და მარაგს/რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებას შორის ძირითადი საშუალების ეკონომიკური ფუნქციის მიხედვით.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა. აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა საოპერაციო მოგება/ზარალი.

არამატერიალური აქტივები

აქტივის თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი.

ამორტიზაციის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის თვითღირებულების ან გაუფასურებული ღირებულების განაწილებას აქტივის მთელი მომსახურების ვადის მანძილზე.

კომპანიის არამატერიალური აქტივები ძირითადად შედგება მანგანუმის მოპოვების ლიცენზიებისგან, რომელთა სასარგებლო მომსახურების ვადა მერყეობს 12-17 წლამდე და სააღრიცხვო პროგრამისგან, რომლის სასარგებლო მომსახურების ვადაა 7 წელი. კომპანიის ლიცენზიები წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

ლიცენზია

ლიცენზიის მოქმედების დასასრული

მანგანუმის მადნის მოპოვების ლიცენზია ბროლის ქედი N 1003344

14.09.2027

ქალცედონის და სპონგოლიტის ლიცენზია თერჯოლა N1003347

12.06.2032

მიწისქვეშა მტკნარი წყალი - რუსთავი N1003343

27.06.2033

მიწისქვეშა მტკნარი წყალი -თერჯოლა N1001988

05.04.2046

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება გარდა გუდვილისა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია მიმოიხილავს მატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებას რათა განსაზღვროს, არსებობს თუ არა მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. ასეთის არსებობის შემთხვევაში, კომპანია ახორციელებს აქტივების ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებას. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება, კომპანია განსაზღვრავს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც განეკუთვნება მოცემული აქტივი.

აქტივის ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული წარმოადგენს აქტივების უმცირეს ჯგუფს, რომელიც მოიცავს მოცემულ აქტივს და წარმოქმნის ფულად სახსრებს უწყვეტი გამოყენების შედეგად, რომელთა მიღება, უმეტესწილად, დამოკიდებული არ არის სხვა აქტივებიდან ან აქტივთა ჯგუფიდან ფულადი სახსრების მიღებაზე.

3. კომპანიის არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება წარმოადგენს გასვლის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდეს თანხას. აქტივის გამოყენების ღირებულება არის აქტივიდან ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულიდან მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება.

აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს მის ანაზღაურებად ღირებულებამდე იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე. შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება ხარჯის სახით მოგება-ზარალის ან სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია განსაზღვრავს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი, რომლის მიხედვით წინა წლებში აღიარებული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაუფასურების ზარალი შესაძლოა აღარ არსებობდეს ან შემცირებული იყოს. მისი არსებობის შემთხვევაში, კომპანია აფასებს მოცემული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებად ღირებულებას. გაუფასურების ზარალის კომპენსირების შემთხვევაში იზრდება აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება, მაგრამ არაუმეტეს იმ საბალანსო ღირებულებისა, რომელიც მიღებული იქნებოდა წინა წლებში გაუფასურების ზარალის აღიარება რომ არ მომხდარიყო.

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

მეკავშირე საწარმოები არიან კომპანიები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი პირდაპირი ან არაპირდაპირი გავლენა, თუმცა არ აქვს კონტროლი. როგორც წესი, კომპანიას ასეთ საწარმოებში აქვს 20%-დან 50%-მდე ხმის უფლება. მეკავშირე საწარმოში განხორციელებული ინვესტიცია თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით და შემდგომში მისი საბალანსო ღირებულება იზრდება ან მცირდება, რათა აისახოს შეძენის თარიღის შემდგომ პერიოდში ინვესტორის წილი ინვესტირებული საწარმოს მოგებაში ან ზარალში. ინვესტორის წილი ინვესტირებული საწარმოს მოგებაში, ან ზარალში აღიარდება ინვესტორის მოგებაში, ან ზარალში. ინვესტირებული საწარმოდან დივიდენდების ან სხვა სახის განაწილებული თანხების მიღება ამცირებს ინვესტიციის საბალანსო ღირებულებას. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

კომპანია მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევს, რომ მეკავშირე საწარმოში ფლობილი ნეტო ინვესტიცია გაუფასურებულია და გაუფასურების ზარალი წარმოშობილია, თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება გაუფასურებისა, რაც გამოიწვია ნეტო ინვესტიციის საწყისი აღიარების შემდეგ მომხდარმა ერთმა ან რამდენიმე მოვლენამ („ზარალის გამომწვევი მოვლენა“), ამ მოვლენამ (თუ მოვლენებმა) გავლენა იქონია ნეტო ინვესტიციიდან მისაღები მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებაზე და შესაძლებელია გაუფასურების ზარალის საიმედოდ შეფასება. კომპანია წყვეტს წილობრივი მეთოდის გამოყენებას იმ დღიდან, როდესაც იგი წყვეტს მნიშვნელოვან გავლენას მეკავშირე საწარმოზე და იმ დღიდან ინვესტიციას აღრიცხავს ფასს 9-ის შესაბამისად, თუ მეკავშირე საწარმო არ ხდება შვილობილი საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა. როდესაც კომპანია მნიშვნელოვან გავლენას კარგავს, იგი რეალური ღირებულებით აფასებს ინვესტიციას, რომელიც რჩება მას ყოფილ მეკავშირე საწარმოში ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, ფულს გზაში, დეპოზიტებს და ფასიან ქაღალდებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

3. კომპანიის არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულებით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანუღირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

საშუალო შეწონილი ღირებულება გამოიყენება წარმოების პროცესში გამოყენებული ნედლეულის თვითღირებულების განსაზღვრისთვის.

მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯების განაწილება მარაგის გადამუშავების დანახარჯებზე ხდება საშუალო საწარმოო სიმძლავრის მიხედვით. საშუალო საწარმოო სიმძლავრე წარმოადგენს წარმოების ისეთ დონეს, რომლის მიღწევაც საშუალოდ მოსალოდნელია რამდენიმე საწარმოო პერიოდის ან სეზონის განმავლობაში წარმოების ნორმალურ პირობებში, საწარმოო სიმძლავრეების გეგმური შენახვის ზარალის გათვალისწინებით. წარმოებული პროდუქციის ერთეულზე მისაკუთვნილებელი მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯების თანხა არ იზრდება დაბალი მწარმოებლობის ან მოწყობილობების მოცდენების გამო. გაუნაწილებელი ზედნადები ხარჯები ჩაითვლება იმ პერიოდის ხარჯებად, რომელშიც იქნა გაწეული. ზენორმატიული ცვთვის ხარჯი, რომელიც არ არის მიკუთვნილებული წარმოებული პროდუქციის ერთეულზე, წარდგენილია საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების მუხლში სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სხვა რეზერვები

კომპანიის სხვა რეზერვები წარმოქმნილია დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხების დისკონტირების ეფექტით. აღნიშნული ოპერაციები მიჩნეულია, როგორც დამფუძნებელთან განხორციელებული ოპერაციები.

სესხები

სასესხო ვალდებულებების თავდაპირველი შეფასება ხდება რეალური ღირებულებით. საწყისი შეფასების შემდგომ, კომპანია აფასებს ყველა ფინანსური ვალდებულებას ამორტიზებული ღირებულებით. ყველა სხვაობა მიღებულ შემოსავალსა და გამოქვითვებს შორის აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

იჯარა

კომპანია როგორც მოიჯარე

კომპანია იყენებს ფასს 16-ს 2019 წლის 1 იანვრის თარიღიდან. ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა რელევანტურია 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საანგარიშო პერიოდებისთვის.

იჯარის იდენტიფიკაცია

ხელშეკრულების დაწყებისას კომპანია აფასებს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. ხელშეკრულება არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ. იმის დასადგენად, ესა თუ ის ხელშეკრულება გადასცემს თუ არა მომხმარებელს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, კომპანია აფასებს, გამოყენების პერიოდის განმავლობაში მომხმარებელს გააჩნია თუ არა შემდეგი ორივე უფლება:

- ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან პრაქტიკულად მთლიანი სარგებლის მიღების უფლება და
- იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება

საწყისი აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება როგორც:

- აქტივი, რომელიც წარმოადგენს იჯარის ვადის განმავლობაში, იჯარის ობიექტის გამოყენების უფლებას და
- ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის.

3. კომპანიის არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარე საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება ხორციელდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად არის შესაძლებელი. თუ ეს შეუძლებელია, გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი. საიჯარო ვალდებულების შეფასებაში ცვლადი საიჯარო გადახდები მონაწილეობს იმ მოცულობით, რა მოცულობითაც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე. ცვლადი საიჯარო გადახდები თავდაპირველად ფასდება იჯარის ვადის დაწყების თარიღის მდგომარეობით ამ ინდექსის ან განაკვეთის გამოყენებით. სხვა ცვლადი საიჯარო გადახდები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, რომელსაც ისინი მიეკუთვნება.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანიის ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის მოიცავს:

- თანხებს, რომელთა გადახდა მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით;
- შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას;
- იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმებს, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას;

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის კომპანიამ აქტივის გამოყენების უფლებას აფასებს თვითღირებულებით. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას,
- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით.

შემდგომი შეფასება

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივის გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების გამოკლებით. თუ საიჯარო ხელშეკრულების თანახმად საიჯარო აქტივზე საკუთრების უფლება იჯარის ვადის დასრულებისას მოიჯარეს გადაეცემა, ან აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება ასახავს მოიჯარის განზრახვას, რომ ის გამოიყენებს აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას, აქტივის ამორტიზაცია უნდა დაერიცხოს იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე. სხვა შემთხვევაში, აქტივის გამოყენების უფლებას ამორტიზაცია ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ კომპანია ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას, საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი აღიარდება მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

თუ შეიცვალა თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიის პირობის ფარგლებში ან შეიცვალა მომავალი საიჯარო გადახდები იმის გამო, რომ შეიცვალა ამ გადახდების განსაზღვრისთვის გამოსაყენებელი ინდექსი ან განაკვეთი, საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება იჯარის ვადის დასაწყისში განსაზღვრული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საიჯარო გადახდების ცვლილება გამოწვეულია ცვლადი საპროცენტო განაკვეთების ცვლილებით.

3. კომპანიის არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

როცა კომპანია ახდენს იჯარის სახელშეკრულებო პირობების მოდიფიკაციას, ამ შემთხვევაში, აღრიცხვა დამოკიდებულია მოდიფიკაციის შინაარსზე:

- იჯარის მოდიფიკაცია აისახება, როგორც განცალკევებული იჯარა, თუ მოდიფიკაციის შედეგად იზრდება იჯარის გამოყენების სფერო და იჯარის ანაზღაურება იზრდება გაზრდილი გამოყენების სფეროს შესაფერისი ანაზღაურებით.
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომელიც არ აღირიცხება, როგორც განცალკევებული იჯარა, იჯარის მოდიფიკაციის ძალაში შესვლის თარიღისთვის მოიჯარე ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას გადასინჯული საიჯარო გადახდების დისკონტირებით გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის საფუძველზე.
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომლის შედეგად მცირდება იჯარის მოქმედების სფერო, მცირდება აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება იჯარის ნაწილობრივ ან სრულად შეწყვეტის ასახვის მიზნით, მოგება/ზარალში აღიარდება ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია იჯარის ნაწილობრივ ან მთლიანად შეწყვეტასთან; საიჯარო ვალდებულება შემდგომში კორექტირდება იმგვარად, რომ მისმა საბალანსო ღირებულებამ ასახოს მოდიფიცირებული საიჯარო გადასახდელები მოდიფიცირებული ვადის განმავლობაში, რომლებიც დადისკონტირებულია მოდიფიკაციის თარიღისთვის არსებული განაკვეთით. ასეთ დროს, აქტივის გამოყენების უფლებაც შესაბამისი თანხით კორექტირდება.

კომპანია არასაიჯარო კომპონენტებს არ გამოაცალკევებს საიჯარო კომპონენტებისგან და ამის ნაცვლად თითოეული საიჯარო კომპონენტი და მასთან დაკავშირებული არასაიჯარო კომპონენტი აღრიცხება, როგორც ერთი საიჯარო კომპონენტი.

იჯარის ვადის განსაზღვრა

იჯარის ვადა არის იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს საიჯარო აქტივის გამოყენების უფლება, შემდეგ პერიოდებთან ერთად: ა) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება (მათ შორის მიღებული საქმიანი პრაქტიკით გამყარებული), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს; და ბ) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას არ გამოიყენებს.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. იმის შესაფასებლად, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს იჯარის გაგრძელების უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, კომპანია განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება. კომპანია ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც: ა) მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება; და ბ)

გავლენას ახდენს იმის შეფასებაზე, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული არ ჰქონდა იჯარის ვადის დადგენისას, ან არ გამოიყენებს ისეთ უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული ჰქონდა იჯარის ვადის განსაზღვრისას.

ზღვრული სასესხო განაკვეთი

ზღვრული სასესხო განაკვეთი არის, საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივის გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

3. კომპანიის არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

საიჯარო გადახდების განსაზღვრა

საქართველოში ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს (ან მოიცავს არასრულს ჩანაწერს) იჯარის განახლების/ გაგრძელების შესახებ. ზემოთხსენებული უფლების არსებობა გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად. კომპანია ამგვარ მიღებულ საქმიან პრაქტიკას განიხილავს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით.

მოკლევადიანი იჯარა და გრძელვადიანი იჯარა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს

კომპანიამ გადაწყვიტა მოკლევადიან იჯარასთან და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებაში გამოიყენოს გათავისუფლება. ამ იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღირიცხება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით. სხვა სისტემატური საფუძველი იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ ეს საფუძველი უფრო ადეკვატურად ასახავს მოიჯარის მიერ სარგებლის მიღების სტრუქტურას/მოდელს.

ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ჯგუფში მოსალოდნელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა ჯგუფში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ჯგუფში ანარიცხი აღიარდება, როდესაც ჯგუფს აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენის შედეგად და სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა; და შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

საწარმოთა გაერთიანება

საწარმოთა შეძენას ჯგუფი აღრიცხავს შეძენის მეთოდის საფუძველზე. საწარმოთა გაერთიანებაში გადაცემული კომპენსაციას ჯგუფი აფასებს რეალური ღირებულებით, რომელიც გამოითვლება როგორც შეძენის თარიღით შეფასებული შემდეგი რეალური ღირებულებების ჯამი: მყიდველი საწარმოს მიერ გადაცემული აქტივების, შეძენილი საწარმოს ყოფილი მესაკუთრეების მიმართ მყიდველი საწარმოს მიერ აღებული ვალდებულებებისა და მყიდველი საწარმოს მიერ გამოშვებული სააქციო წილის. ბიზნეს კომბინაციასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარდება მოგებასა და ზარალში იმ პერიოდში როდესაც გაწეული იყო ეს დანახარჯები.

შეძენის თარიღისათვის ჯგუფი აფასებს შეძენილ იდენტიფიცირებად აქტივებსა და აღებულ ვალდებულებებს რეალური ღირებულებით, გარდა შემდეგისა:

- გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები, ასევე, დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოებიდან წარმოქმნილი ვალდებულება და აქტივები აღიარდება და ფასდება ბასს 12-ისა და ბასს 19-ის შესაბამისად;
- ვალდებულება ან წილობრივი ინსტრუმენტი, რომელიც დაკავშირებულია შეძენილი საწარმოს წილობრივი გადახდის ჯილდოების გაცვლასთან მყიდველი საწარმოს წილობრივი გადახდის ჯილდოებზე, აღირიცხება ფასს 2 „წილობრივი გადახდა“-ს მიხედვით; და
- აქტივები, რომელიც კლასიფიცირდება როგორც გასაყიდად გამიზნული, აღირიცხება ფასს 5 „გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები“-ს შესაბამისად.

3. კომპანიის არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გუდვილი ფასდება როგორც სხვაობა შემდეგი მაჩვენებლებისა: გადაცემული კომპენსაცია, ნებისმიერი არამაკონტროლებელი წილი შეძენილ საწარმოში, შეძენილ საწარმოში ჯგუფის მიერ ადრე კუთვნილი სააქციო წილის შეძენის თარიღისათვის შეფასებული რეალური ღირებულება, და შეძენილ იდენტიფიცირებადი აქტივებისა და აღებული ვალდებულებების შეძენის თარიღისათვის წმინდა ღირებულებას შორის. თუ, შეფასების შემდგომ, შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივებისა და აღებული ვალდებულებების წმინდა ღირებულება აღემატება გადაცემულ კომპენსაციას, ნებისმიერი არამაკონტროლებელ წილს შეძენილ საწარმოში და შეძენილ საწარმოში ჯგუფის მიერ ადრე კუთვნილი სააქციო წილის შეძენის თარიღისათვის შეფასებულ რეალური ღირებულებას, მაშინ ნამეტი უნდა აღიარდეს მაშინვე მოგებასა და ზარალში როგორც შეძენიდან მიღებული მოგება.

მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2016 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

ხარჯების აღიარება

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვიტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი შეფასებები და დაშვებები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება - კომპანია ხელმძღვანელობს „მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების“ (ECL) მოდელით. ეს საჭიროებს მსჯელობას იმის შესახებ თუ როგორ იმოქმედებს ეკონომიკური ფაქტორები ECL მოდელზე, რაც განისაზღვრება შეწონილი ალბათობის საფუძველზე. ფასს 9-ის მიხედვით, ზარალის ანარიცხის განსაზღვრა ხდება შემდეგნაირად: ა) 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - ისეთი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც გამოწვეულია იმ დეფოლტის მოვლენებისგან ფინანსურ ინსტრუმენტებზე, რომელთა მოხდენაც შესაძლებელია შემდგომი 12 თვის განმავლობაში. ბ) არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - ისეთი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც გამოწვეულია ყველა შესაძლო დეფოლტის მოვლენისგან, რომელთა მოხდენაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მოდელი მოქმედებს მაშინ, როდესაც ფინანსური აქტივი საკრედიტო რისკი ანგარიშგების პერიოდისათვის მნიშვნელოვნად გაზრდილია მის თავდაპირველ აღიარებასთან შედარებით, ხოლო თუ არ არის გაზრდილი 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

კომპანიას შეუძლია განსაზღვროს რომ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი არ გაზრდილა მნიშვნელოვნად, იმ შემთხვევაში თუ აქტივს აქვს დაბალი საკრედიტო რისკი ანგარიშგების წარდგენის პერიოდისათვის. თუმცა, არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოქმედება ყოველთვის ვრცელდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე. დეტალები სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების შესახებ იხილეთ მე-15 შენიშვნაში. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები - როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

სასამართლო დავები - კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის განიხილავს მიმდინარე სასამართლო დავების სამართალწარმოებას, რათა შეაფასოს ანარიცხის საჭიროება და განმარტოს ფინანსურ ანგარიშგებაში. ანარიცხების შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს სასამართლო პროცესის მიმდინარეობას, საკანონმდებლო მოთხოვნებს, ზარალის მოსალოდნელ ოდენობას, იურისტების და შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოსაზრებას, მსგავსი დავების პრაქტიკულ შედეგებს. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

შპს რუსელოს

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საბაზრო რისკი
 - საპროცენტო რისკი
 - უცხოური ვალუტის რისკი
- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. კომპანიის ხელმძღვანელობა ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას კომპანიის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას.

კომპანიის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს, საიჯარო ვალდებულებებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია კომპანიის ფინანსური უზრუნველყოფა. კომპანიას გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები როგორიცაა გაცემული სესხები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და ფული და ფულის ეკვივალენტები.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2023	31.12.2022
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	20,284,922	510,428
ფული და ფულის ეკვივალენტები	28,286	1,168,400
სულ ფინანსური აქტივები	20,313,208	1,678,828
მიღებული სესხები	51,764,261	46,232,683
საიჯარო ვალდებულებები	299,698	204,208
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	40,533,847	14,318,543
სულ ფინანსური ვალდებულებები	92,597,806	60,755,434

ფასს 7 რეალური ღირებულების შეფასების იერარქია

ფასს 7 მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისთვის იმ დამკვეთების შესახებ, რაც გამოყენებულ იქნა რეალური ღირებულების განსაზღვრისას. რეალური ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

1. იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე (1-ლი დონე);
2. პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ (მე-2 დონე); და
3. ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე (მე-3 დონე).

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში.

კომპანიას არ გააჩნია რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, შესაბამისად, ისინი არაა წარმოდგენილი ფასს 7-ის მიხედვით რეალური ღირებულების იერარქიულად შეფასების პრინციპით.

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებებისგან.

ფულისა და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება განსაზღვრულია 1-ლი დონის, სესხების და დანარჩენი ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეალური ღირებულებები მე-3 დონის მიხედვით.

კაპიტალის მართვის მიდგომა

კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. ასეთი განხილვების ფარგლებში, კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანია აბალანსებს მთლიანი კაპიტალის სტრუქტურას აღებული სესხის თანხით კაპიტალის ზრდით და არსებული სესხების დაფარვით.

კომპანიამ შეიმუშავა კაპიტალის მართვის შემდეგი მიზნები, პოლიტიკა და მიდგომები იმისთვის, რათა მართოს ის რისკები, რომლებიც კაპიტალის პოზიციაზე ახდენს გავლენას.

კაპიტალის მართვის მიზნებია:

- კომპანიამ შეინარჩუნოს სტაბილურობის მოთხოვნილი დონე, შედეგად, უზრუნველყოს მომხმარებლების დაცულობა;
- გაანაწილოს კაპიტალი ეფექტურად და დაეხმაროს ბიზნესს განვითარებაში, რათა უკუგებამ კაპიტალზე დააკმაყოფილოს მფლობელთა მოთხოვნები;
- შეინარჩუნოს ფინანსური მოქნილობა ლიკვიდურობის შენარჩუნებისა და კაპიტალის სხვადასხვა ბაზარზე წვდომისთვის;

კომპანია რისკის პროპორციულად აწესებს საჭირო კაპიტალის ოდენობას. კომპანია მართავს საკუთარი კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს მის კორექტირებას ეკონომიკური გარემოებებისა და აქტივების რისკიანობის შესაბამისად.

იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ან დააკორექტიროს კაპიტალის სტრუქტურა, კომპანიამ შეიძლება დაუბრუნოს კაპიტალი მფლობელებს, გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით და ა.შ.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად.

კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშვება პროცენტის მატარებელი, სავაჭრო და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) და საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) ცვლილებების შედეგად.

• სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა. კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

შპს რუსელოს

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ლარი	დოლარი	31.12.2023
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	783,668	19,501,254	20,284,922
ფული და ფულის ეკვივალენტები	28,054	232	28,286
	811,722	19,501,486	20,313,208
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	495,081	51,269,180	51,764,261
საიჯარო ვალდებულებები	-	299,698	299,698
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	38,962,581	1,571,266	40,533,847
	39,457,662	53,140,144	92,597,806
ღია სავალუტო პოზიცია	(38,645,940)	(33,638,658)	
	ლარი	დოლარი	31.12.2022
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	332,721	177,707	510,428
ფული და ფულის ეკვივალენტები	57,583	1,110,817	1,168,400
	390,304	1,288,524	1,678,828
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	462,761	45,769,922	46,232,683
საიჯარო ვალდებულებები	-	204,208	204,208
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13,113,538	1,205,005	14,318,543
	13,576,299	47,179,135	60,755,434
ღია სავალუტო პოზიცია	(13,185,995)	(45,890,611)	

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით.

გავლენა წმინდა მოგებაზე/(ზარალზე) აქტივების ღირებულების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2023	31.12.2023	31.12.2022	31.12.2022
	ლარი/ დოლარი + 20%	ლარი/ დოლარი - 20%	ლარი/ დოლარი + 20%	ლარი/ დოლარი - 20%
მოგება/(ზარალი)	(6,727,732)	6,727,732	(9,178,122)	9,178,122

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც კომპანიას გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე მიღებული სესხები.

შპს რუსელოს

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის მიერ აღებული ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი სესხები დენომინირებულია აშშ დოლარში.

ქვემოთ წარმოდგენილი მგრძნობელობის ანალიზი ჩატარდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის როგორც არაწარმოებული ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთების მიმართ არსებული რისკის საფუძველზე. ცვლებადი განაკვეთის ვალდებულებების შეთხვევაში, ანალიზი მომზადდა იმის დაშვებით, რომ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის დაუფარავი ვალდებულების თანხა მთელი წლის განმავლობაში დაუფარავი იყო. 100 საბაზისო ერთეულის გაზრდა (100 საბაზისო ერთეული შეესაბამება 1 პროცენტთან ცვლილებას) ან შემცირება ხდება საპროცენტო განაკვეთის რისკის შიდა ანგარიშგებისას უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობისთვის და წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ საპროცენტო განაკვეთების შესაძლო ცვლილების შეფასებას, გონივრულობის ფარგლებში.

საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობა 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სესხები აშშ დოლარში 31.12.2023		სესხები აშშ დოლარში 31.12.2022	
	პროცენტის ზრდა 1%-ით	პროცენტის შემცირება 1%-ით	პროცენტის ზრდა 1%-ით	პროცენტის შემცირება 1%-ით
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	(16,711)	16,711	(30,252)	101,781
გავლენა კაპიტალზე	(16,711)	16,711	(30,252)	101,781

მგრძნობელობის ანალიზის შეზღუდვა. ზემოთ მოცემული ცხრილი ასახავს 1 ცვლადის ცვლილებას იმ დაშვებით, რომ სხვა ცვლადები დარჩება უცვლელი. რეალურად, ცვლადები ერთმანეთთან კორელაციურ კავშირშია და ერთი ცვლადის ცვლილება გავლენას ახდენს სხვა დანარჩენზე. ცვლადებს შორის ურთიერთობა არ არის წრფივი და მცირე ან დიდი ცვლილება შეიძლება არ იყოს გამოსადეგი შედეგების ექსტრაპოლაციისთვის.

მგრძნობელობის ანალიზი არ ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ კომპანიის აქტივები და ვალდებულებები იმართება აქტიურად. შესაბამისად, კომპანიის ფინანსური მდგომარეობა შეიძლება იყოს განსხვავებული საბაზრო ფაქტორების ცვლილებების დროს. კომპანიის ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკის მიზანია გაუმკლავდეს ბაზარზე არასასურველი ცვლილების ეფექტს. საინვესტიციო ბაზრების სწრაფად ცვლილების შესაბამისად, კომპანიის ხელმძღვანელობა ახორციელებს სხვა და სხვა დამცავ ქმედებებს. შედეგად, დაშვებების რეალურმა ცვლილებამ შესაძლებელია გავლენა არ მოახდინოს კომპანიის ვალდებულებებზე.

ზემოთ მოცემული მგრძნობელობის ანალიზის დამატებით შეზღუდულია იმით, რომ დაშვება არის ჰიპოთეტური პოტენციური რისკის დემონსტრაციისთვის და წარმოადგენს კომპანიის მოსაზრებას ბაზრის შესაძლო ცვლილებაზე. რეალურად ბაზრის სამომავლო ცვლილება შეუძლებელია წინასწარ განისაზღვროს.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არ დაფარვის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია გაცემული სესხებიდან, სავაჭრო მოთხოვნებიდან, ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძველიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას.

საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, კომპანია მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად კომპანია განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: მომხმარებელი იურიდიული პირია თუ ფიზიკური, ბითუმად მოვაჭრა თუ საცალოდ, მომხმარებლების გეოგრაფიულ განაწილებას და წარსულში ფინანსური სიმძნელების არსებობას. მაღალ რისკიანი მომხმარებლები გაერთიანებულია შეზღუდულ მომხმარებელთა ჯგუფში და მათზე რეალიზაცია ხორციელდება წინასწარი ანაზღაურების საფუძველზე.

საკრედიტო რისკი ასევე წარმოიქმნება ფულისა და ფულის ეკვივალენტებიდან და გაცემული სესხებიდან, თუმცა აღნიშნული საკრედიტო რისკი არ არის არსებითი და ამიტომ არ არის წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში.

შპს რუსელოს

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

დეტალური ინფორმაცია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის და ვადაგადაცილების შესახებ წარმოდგენილია მე-17 შენიშვნაში.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2023	31.12.2022
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	20,284,922	510,428
ფული და ფულის ეკვივალენტები	28,286	1,168,400
სულ ფინანსური აქტივები	20,313,208	1,678,828

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ თავისი საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მენეჯმენტის პროცესია. ლიკვიდურობის რისკის ანალიზი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

31.12.2023	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წლის ზემოთ	სულ
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	55,605,940	-	-	55,605,940
საიჯარო ვალდებულებები	65,640	262,558	-	328,198
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	40,533,847	-	-	40,533,847
სულ ფინანსური ვალდებულებები	96,205,427	262,558	-	96,467,985

31.12.2022	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წლის ზემოთ	სულ
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	39,517,137	10,138,258	-	49,655,395
საიჯარო ვალდებულებები	79,202	131,894	-	211,096
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14,318,543	-	-	14,318,543
სულ ფინანსური ვალდებულებები	53,914,882	10,270,152	-	64,185,034

6. ბიზნესის შეძენა

კომპანიამ 2016 წელს შპს რუსმეტალისგან შეიძინა დამოუკიდებლად მოქმედი ყველა ქვედანაყოფის აქტივები, რომელიც კომპანიის შეფასებით აღიარდა, როგორც ბიზნესის შეძენა.

შეძენილი აქტივების რეალური ღირებულება შეძენის თარიღისთვის შეაფასა დამოუკიდებელმა შემფასებელმა, რომლის მიხედვით შეძენილი აქტივების რეალური ღირებულება არის შემდეგი: ძირითადი საშუალებების ღირებულება შეძენის დროს იყო 16,558,603 ლარი, ხოლო არამატერიალური აქტივების - 399,636 ლარი.

შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივებისთვის გადახდის კომპენსაცია განისაზღვრა შეფასებული ღირებულების მიხედვით, რომელმაც შეადგინა 16,958,239 ლარი.

მიღებული აქტივების ნაწილის შეძენა მოხდა ფულადი ანგარიშსწორებით 13,444,750 ლარის ოდენობით. დანარჩენი კი გადაიფარა სასესხო მოთხოვნა შპს რუსმეტალის მიმართ, რომელიც შეადგენდა 3,513,489 ლარს.

შპს რუსელოს

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

7. ამონაგები

ამონაგები წარმოადგენს ძირითადად ფერო-სილიკო-მანგანუმის და ფერო-სილიკო-მანგანუმის საწარმოებლად საჭირო ნედლეულის რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავლებს.

ა) შემოსავლები რეალიზებული საქონლის სახეობის მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
ფერო-სილიკო-მანგანუმი	44,343,790	54,419,615
ფერო-ქრომი	4,486,153	-
კოქსი	-	1,123,986
სხვა	853,628	895,851
	49,683,571	56,439,452

ბ) შემოსავლები გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
ადგილობრივი რეალიზაცია	44,086,142	41,735,673
ექსპორტი	5,597,429	14,703,779
	49,683,571	56,439,452

2023 წელს კომპანიას ჰყავს ერთი ყველაზე მსხვილი მომხმარებელი, STM-GROUP COMPANY LIMITED, რომლისგან მიღებული შემოსავალიც 2023 წელს მიღებული მთლიანი შემოსავლის 83%-ს შეადგენს.

2022 წელს კომპანიას ჰყავს ერთი ყველაზე მსხვილი მომხმარებელი, შპს არესემ კორპი, რომლისგან მიღებული შემოსავალიც 2022 წელს მიღებული მთლიანი შემოსავლის 69%-ს შეადგენს.

ხელშეკრულება და სახელშეკრულებო ვალდებულებები

კომპანიის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის დროს, არის შემთხვევები, როდესაც შემოსავლის აღიარებასა და ანაზღაურების გადახდას შორის არის დროითი სხვაობა.

თუ მომხმარებელი ანაზღაურებას იხდის, ან საწარმოს უპირობო უფლება გააჩნია ანაზღაურების თანხაზე (ე.ი. წარმოადგენს მოთხოვნას) მანამ, სანამ საწარმო საქონელს ან მომსახურებას გადასცემს მომხმარებელს, საწარმო ხელშეკრულებას წარადგენს, როგორც სახელშეკრულებო ვალდებულება, როდესაც გადახდა განხორციელდება, ან ანაზღაურების თანხის გადახდის ვადა დადგება (რომელიც უფრო ადრე მოხდება ამ მოვლენებიდან).

სახელშეკრულებო ვალდებულება არის საწარმოს ვალდებულება, მომხმარებელს გადასცეს საქონელი ან მომსახურება, რისთვისაც საწარმომ მომხმარებლისგან მიიღო ანაზღაურება (ან რომლის ანაზღაურების გადახდის ვადა დამდგარია).

კომპანიას 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ აქვს სახელშეკრულებო აქტივები. სახელშეკრულებო ვალდებულებები წარმოდგენილია „სავაჭრო და სხვა ვალდებულებების“ მუხლში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

8. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2023	2022
ფერო-სილიკო-მანგანუმი	(39,004,943)	(54,852,600)
ფერო-ქრომი	(7,961,534)	-
ტრანსპორტირების თვითღირებულება	(2,788,487)	-
კოქსი	-	(1,097,356)
სხვა	(445,006)	(895,449)
	(50,199,970)	(56,845,405)

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს საწარმოო პროცესში გამოყენებული ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების ცვეთას და ამორტიზაციას 448,776 ლარისა და 820,521 ლარის ოდენობით 2023 და 2022 წლებში, შესაბამისად.

შპს რუსელოს

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022
წარმოების ზენორმატიული ხარჯი*	(2,142,328)	(527,128)
მარაგის გაუფასურების ხარჯი	(1,689,859)	-
თანამშრომელთა ხელფასი და სხვა სარგებელი	(928,745)	(1,018,748)
გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა	(354,846)	(308,102)
ჯარიმები და საურავები	(322,935)	(78,000)
გაცემული ავანსების გაუფასურების და ჩამოწერის ხარჯი	(301,053)	(299,666)
საკონსულტაციო ხარჯი	(78,141)	(62,135)
საოფისე ხარჯი	(75,500)	(40,050)
ცვეთა და ამორტიზაცია	(74,265)	(126,543)
საწვავის ხარჯი	(31,453)	(60,027)
ბანკის საკომისიო ხარჯი	(18,255)	(14,913)
სხვა ხარჯი	(165,022)	(137,471)
	(6,182,402)	(2,672,783)

(*) – 2023 წელს წარმოების ზენორმატიული ხარჯი მოიცავს ზენორმატიულ ცვეთას 1,204,222 ლარის ოდენობით. (2022: 527,128 ლარი).

10. ფინანსური ხარჯები, წმინდა

	2023	2022
არაფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(3,565,240)	(3,288,770)
ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(277,468)	(364,256)
იჯარის ვალდებულების საპროცენტო ხარჯი	(11,834)	(17,645)
	(3,854,542)	(3,670,671)

11. მოგება საკუროს სხვაობიდან, წმინდა

	2023	2022
მიღებული სესხები	250,919	6,373,435
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	68,498	882,179
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	44,092	(250,213)
საიჯარო ვალდებულებები	(2,700)	23,616
ფული და ფულის ეკვივალენტები	(276,549)	(287,415)
	84,260	6,741,602

შპს რუსელოს

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

12. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობები და კონსტრუქციები	დაუმთავრებელი მშენებლობა	მანქანა- დანადგარები	ავტომობილები	საოფისე აღჭურვილობა	ჯამი
31.12.2021	788,950	3,556,214	380,145	16,278,116	247,690	371,809	21,622,924
შემოსვლა	-	-	2,616,175	23,474	-	12,204	2,651,853
გასვლა	-	-	-	(18,966)	-	(5,180)	(24,146)
31.12.2022	788,950	3,556,214	2,996,320	16,282,624	247,690	378,833	24,250,631
შემოსვლა	-	2,913,878	936,397	1,142,817	-	1,779	4,994,871
გასვლა	-	-	(3,932,717)	-	-	-	(3,932,717)
31.12.2023	788,950	6,470,092	-	17,425,441	247,690	380,612	25,312,785
დაგროვილი ცვეთა							
31.12.2021	-	(1,235,029)	-	(6,278,974)	(98,778)	(211,823)	(7,824,604)
ცვეთა	-	(215,527)	-	(1,142,902)	(17,124)	(44,303)	(1,419,856)
გასვლა, ცვეთის ჩამოწერა	-	-	-	529	-	356	885
31.12.2022	-	(1,450,556)	-	(7,421,347)	(115,902)	(255,770)	(9,243,575)
ცვეთა	-	(313,721)	-	(1,154,278)	(17,318)	(18,721)	(1,504,038)
31.12.2023	-	(1,764,277)	-	(8,575,625)	(133,220)	(274,491)	(10,747,613)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
31.12.2022	788,950	2,105,658	2,996,320	8,861,277	131,788	123,063	15,007,056
31.12.2023	788,950	4,705,815	-	8,849,816	114,470	106,121	14,565,172

კომპანიის ძირითადი საშუალებებით უზრუნველყოფილია მიღებული სესხები სს თიბისი ბანკისგან. დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია მე-18 შენიშვნაში.

2022 წელს „დაუმთავრებელი მშენებლობის“ კლასიფიკაციის ქვეშ შემოსული ძირითადი საშუალებები შედგება ჰაერის გასაფილტრი ქვედანაყოფის მშენებლობისთვის შეძენილი აქტივებისგან. ჰაერის გასაფილტრი ქვედანაყოფის მშენებლობა კომპანიას მისცემს საშუალებას თავიდან აირიდოს გარემოს დაბინძურება და დაბინძურებით გამოწვეული ჯარიმები მარეგულირებლის მხრიდან. ჰაერის გასაფილტრი ქვედანაყოფი წარმოადგენდა დაუმთავრებელ მშენებლობას 31.12.2022 მდგომარეობით და ექსპლოატაციაში შევიდა 2023 წელს.

2023 წელს კომპანიამ ერთ-ერთი ღუმელი (მანქანა-დანადგარების კლასიფიკაციის ქვეშ) ფერო-სილიკო-მანგანუმის წარმოებიდან გადააწყო ფერო-ქრომის წარმოებაზე, რისთვისაც გასწია კაპიტალური ხარჯი 969,454 ლარის ოდენობით.

შპს რუსელოს

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

13. ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში

2021 წელს 11 მარტს შპს რუსელოსმა სხვა კომპანიებთან ერთად დააარსა შპს „ფეროელის ჯორჯია“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 416356963). შპს რუსელოსის წილობრივი ფლობა შპს „ფეროელის ჯორჯიას“ კაპიტალში 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განისაზღვრება 25%-ით და კომპანიისთვის წარმოადგენს ინვესტიციას მეკავშირე საწარმოში. შპს „ფეროელის ჯორჯიას“ წესდებით განსაზღვრული ძირითადი საოპერაციო საქმიანობა არის ფეროშენადნობებისა და შავი ლითონების წარმოება, ექსპორტი და იმპორტი, სამშენებლო საქმიანობა, საინვესტიციო საქმიანობა, ვაჭრობა და სხვა. ანგარიშგების თარიღისათვის კომპანიას არ დაუწყია საოპერაციო საქმიანობა. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქალაქი რუსთავი, ქუჩა ტურგენევი, N 44.

14. მარაგები

	31.12.2023	31.12.2022
მზა პროდუქცია	6,424,946	1,472,572
ნედლეული და სახარჯი მასალა	2,428,523	2,465,847
ჯართი	58,796	151,229
	8,912,265	4,089,648

კომპანიის სავაჭრო მარაგებით უზრუნველყოფილია მიღებული სესხები თიბისი ბანკისგან. დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია მე-18 შენიშვნაში.

15. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2023	31.12.2022
ფინანსური მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები*	22,521,712	2,647,147
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი	(2,236,790)	(2,136,719)
	20,284,922	510,428
არა-ფინანსური მოთხოვნები		
გაცემული ავანსები	927,823	585,471
არაფინანსური მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი	(619,429)	(468,376)
	20,593,316	627,523

(*) - მოიცავს ეს-ტი-ემ კომპანი ლიმიტედთან (STM-GROUP COMPANY LIMITED) 19,089,222 ლარის ოდენობით სავაჭრო მოთხოვნას, რომელიც წარმოქმნილია 2023 წელს ფერო-სილიკო-მანგანუმის და ფეროქრომის რეალიზაციიდან.

კომპანიის ხელმძღვანელობა ახდენს მოთხოვნების საკრედიტო რისკის ანალიზს, რომელიც პერიოდულად გადაიხედება. კომპანია იყენებს ფასს 9-ით განსაზღვრულ გამარტივებულ მეთოდს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის დათვლისთვის. იმისათვის, რათა განისაზღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი ჯგუფურად, მოთხოვნები დაჯგუფდა მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს აქვს მსგავსი რისკიანობის მახასიათებელი.

კომპანია აკეთებს სპეციფიკურ ანალიზს თითოეული მოთხოვნის დაფარვიანობაზე, მოთხოვნის ხანდაზმულობის, მომხმარებლის ფინანსური მდგომარეობის, დაფარვიანობის ისტორიის და სხვა ცნობილი ინფორმაციის მიხედვით. კომპანია ქმნის ანარიცხებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის, რომლებიც ინდივიდუალურად შეფასებულია, როგორც საეჭვო. კომპანია ასევე ახდენს რეგიონული და გლობალური ეკონომიკური გარემოებების და მათი საპროგნოზო მაჩვენებლების მონიტორინგს და იყენებს მოსალოდნელ მომავალ ინფორმაციას შექმნილი ანარიცხების შემდგომ შეფასებასთან დაკავშირებით.

შპს რუსელოს

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

15. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით გაუფასურების ანარიცხი ფინანსურ და არა-ფინანსურ მოთხოვნებზე წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2023	31.12.2022
01 იანვარი	(2,605,095)	(2,300,141)
ანარიცხები მოთხოვნების გაუფასურებისთვის	(401,124)	(304,954)
მოთხოვნის ჩამოწერა	150,000	-
31 დეკემბერი	(2,856,219)	(2,605,095)

გაუფასურების მოსალოდნელი დანაკარგი ფინანსურ მოთხოვნებზე წარმოდგენილია შემდეგნაირად:

31.12.2023	ინდივიდუალურად გაუფასურებელი მოთხოვნები	მიმდინარე	<30 დღეზე	31-90 დღე	90-180 დღე	180-365 დღე	>365 დღეზე	სულ
ზარალების ალბათობა	0%	1%	1%	10%	30%	50%	100%	
საბალანსო ღირებულება	19,815,970	816	331,479	5,333	14,364	250,242	2,103,508	22,521,712
გაუფასურების ანარიცხი	-	(4)	(3,315)	(533)	(4,309)	(125,121)	(2,103,508)	(2,236,790)
წმინდა ფინანსური მოთხოვნები	19,815,970	812	328,164	4,800	10,055	125,121	-	20,284,922

31.12.2022	მიმდინარე	<30 დღეზე	31-90 დღე	90-180 დღე	180-365 დღე	>365 დღეზე	სულ
ზარალების ალბათობა	2%	8%	16%	48%	80%	100%	
საბალანსო ღირებულება	399,034	13,572	36,673	116,561	69,867	2,011,440	2,647,147
გაუფასურების ანარიცხი	(6,390)	(1,087)	(5,872)	(55,993)	(55,937)	(2,011,440)	(2,136,719)
წმინდა ფინანსური მოთხოვნები	392,644	12,485	30,801	60,568	13,930	-	510,428

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოადგენს მოკლევადიან მოთხოვნებს 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. მოთხოვნები არ ხასიათდება მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის ზრდით საწყისი აღიარების შემდგომ.

ახალი მომხმარებლის მიღების წინ კომპანია აფასებს პოტენციური მომხმარებლის საკრედიტო შესაძლებლობებს. ფინანსური მოთხოვნების სტრუქტურა ვალუტების მიხედვით მოცემულია მე-5 შენიშვნაში.

16. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31.12.2023	31.12.2022
ნაღდი ფული სალაროში	27,505	27,505
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	550	30,078
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	231	1,110,817
	28,286	1,168,400

ფულის და ფულის ეკვივალენტების სტრუქტურა ვალუტების მიხედვით მოცემულია მე-5 შენიშვნაში.

შპს რუსელოს

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

17. სხვა რეზერვები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა რეზერვი შეადგენს 6,603,380 ლარს (31.12.2022: 4,579,054 ლარი) და წარმოქმნილია 2016-2023 წლის განმავლობაში კომპანიის დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხების საწყისი აღიარების ეფექტებით.

2023 წელს, მიღებული სესხების ნაწილზე, რომლებიც 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენდა მოკლევადიან ვალდებულებებს, დაფარვის სახელშეკრულებო პერიოდები განისაზღვრა 2024 წლის 31 დეკემბრით. მხარეთა შორის შეთანხმების საფუძველზე. ხელშეკრულებებში შესული ცვლილება, კომპანიის ხელმძღვანელობის მოსაზრებით, წარმოადგენს მნიშვნელოვან ხარისხობრივ და რაოდენობრივ ცვლილებას, შესაბამისად, მოხდა ზემოთ აღნიშნული მოკლევადიანი ფინანსური ინსტრუმენტების აღიარების შეწყვეტა და ახალი ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება.

აღნიშნული ცვლილებების შედეგად, სესხების საწყისი აღიარების ეფექტი, როგორც დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაცია, აღრიცხულია სხვა რეზერვებში 2,024,326 ლარის ოდენობით.

2022 წელს, მიღებული სესხების ნაწილზე, რომლებიც 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენდა მოკლევადიან ვალდებულებებს, დაფარვის სახელშეკრულებო პერიოდები განისაზღვრა 2023 წლის 31 დეკემბრით, მხარეთა შორის შეთანხმების საფუძველზე. ხელშეკრულებებში შესული ცვლილება, კომპანიის ხელმძღვანელობის მოსაზრებით, წარმოადგენს მნიშვნელოვან ხარისხობრივ და რაოდენობრივ ცვლილებას, შესაბამისად, მოხდა ზემოთ აღნიშნული მოკლევადიანი ფინანსური ინსტრუმენტების აღიარების შეწყვეტა და ახალი ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება.

აღნიშნული ცვლილებების შედეგად, სესხების საწყისი აღიარების ეფექტი, როგორც დამფუძნებლებთან განხორციელებული ოპერაციების ეფექტი, აღრიცხულია სხვა რეზერვებში 703,256 ლარის ოდენობით. დამატებითი ინფორმაცია სესხის შესახებ მოცემულია მე-17 შენიშვნაში.

18. მიღებული სესხები

	საპროცენტო განაკვეთი	31.12.2023	31.12.2023
		მოკლევადიანი	გრძელვადიანი
დაკავშირებული მხარეები	3%-12%	50,093,164	-
საფინანსო ინსტიტუტები	LIBOR 3 month + 9%	1,671,097	-
		51,764,261	-
	საპროცენტო განაკვეთი	31.12.2022	31.12.2022
		მოკლევადიანი	გრძელვადიანი
დაკავშირებული მხარეები	3%-12%	34,384,321	8,823,204
საფინანსო ინსტიტუტები	LIBOR 3 month + 9%	3,025,158	-
		37,409,479	8,823,204

2023 წელს დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხების ხელშეკრულებების ცვლილებების შესაბამისად, მოხდა სესხების რესტრუქტურისაცია. კონკრეტულად, მიღებული სესხების ვადები, რომელთა დაფარვის ვადა წარმოადგენდა 2023 წლის 31 დეკემბერს, გახანგრძლივდა 2024 წლის 31 დეკემბრამდე. აღნიშნული სესხების ამორტიზირებული ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 33,009,264 ლარს.

2023 წელს კომპანიამ დაკავშირებული მხარეებისგან მიიღო მოკლევადიანი სესხები (დაფარვის ვადა განსაზღვრულია 2024 წლით), რომელთა ამორტიზირებული ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 5,776,821 ლარს.

2022 წელს დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხების ხელშეკრულებების ცვლილებების შესაბამისად, მოხდა სესხების რესტრუქტურისაცია. კონკრეტულად, მიღებული სესხების ვადები, რომელთა დაფარვის ვადა წარმოადგენდა 2022 წლის 31 დეკემბერს, გახანგრძლივდა 2023 წლის 31 დეკემბრამდე. აღნიშნული სესხების ამორტიზირებული ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 17,759,209 ლარს.

შპს რუსელოს

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

18. მიღებული სესხები (გაგრძელება)

2022 წელს კომპანიამ დაკავშირებული მხარეებისგან მიიღო მოკლევადიანი სესხები (დაფარვის ვადა 31.12.2023), რომელთა ამორტიზირებული ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1,268,083 ლარს. ასევე კომპანიამ დაკავშირებული მხარეებისგან მიიღო გრძელვადიანი სესხები (დაფარვის ვადა 31.12.2024), რომელთა ამორტიზირებული ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 8,823,204 ლარს.

საფინანსო ინსტიტუტებისგან მიღებული სესხები 2023 დ 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უზრუნველყოფილია შემდეგი აქტივებით და გარანტიებით:

- კომპანიის სავაჭრო მარაგები
- კომპანიის ძირითადი საშუალებები
- კომპანიის Windmoon Limited მფლობელების წილები კაპიტალში
- შპს რუსმეტალის არამატერიალური ქონებრივი სიკეთეები

მიღებულ სესხებში განხორციელებული ფულადი და არაფულადი ცვლილებები, რომლებიც მიღებულია ფინანსური აქტივობების შედეგად, შესაძლოა წარმოდგენილი იქნეს შემდეგნაირად:

	2023	2022
საწყისი ნაშთი 1 იანვარი	46,232,683	48,840,120
ფულადი ნაკადები	3,964,115	816,228
არაფულადი ნაკადები:		
პროცენტის დარიცხვა	3,842,708	3,653,026
წმინდა ეფექტი სავალუტო ოპერაციებიდან	(250,919)	(6,373,435)
დამფუძნებელთან განხორციელებული ოპერაციების შედეგი	(2,024,326)	(703,256)
საბოლოო ნაშთი 31 დეკემბერი	51,764,261	46,232,683

მიღებული სესხების ხარისხობრივი ანალიზი მოცემულია მე-5 შენიშვნაში.

19. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2023	31.12.2022
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	40,162,146	13,961,623
გადასახდელი ხელფასები	371,701	356,920
	40,533,847	14,318,543
არაფინანსური ვალდებულებები		
სახელშეკრულებო ვალდებულებები	-	629,738
	40,533,847	14,948,281

სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ფინანსური ვალდებულებების ვალუტების და დაფარვის ვადიანობის შესახებ ინფორმაცია მოცემულია მე-5 შენიშვნაში.

შპს რუსელოს

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ბასს 24 „დაკავშირებული მხარეთა განმარტებითი შენიშვნების“ მიხედვით, არის, როდესაც:

- ა) მხარე პირდაპირ, ან ერთი ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ, ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათაო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;
- ბ) მხარე არის საწარმოს, ან მისი სათაო საწარმოს, უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;
- გ) მხარე არის (ა) და (ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;
- დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (დ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას, ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პიროვნებები.

დაკავშირებულ მხარეებთან თითოეული შესაძლო კავშირის განხილვისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ოპერაციის ეკონომიკურ შინაარსზე, და არა მის სამართლებრივ მხარეზე. კომპანიისა და მისი დაკავშირებული მხარეების არსებითი ურთიერთობის დეტალები მოცემულია ქვემოთ.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციების შედეგები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

აქტივები და ვალდებულებები	დაკავშირებული მხარე	31.12.2023	31.12.2022
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	სხვა*	742,848	-
მიღებული სესხები	სხვა*	50,093,164	43,207,525
საიჯარო ვალდებულებები	სხვა*	299,698	204,208
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	სხვა*	-	131,717

2023 წლის განმავლობაში კომპანიამ სხვა* დაკავშირებული მხარეებისგან შეიძინა 5,170,437 ლარის ღირებულების მარაგი.

2023 წელს დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხების საწყისი აღიარების ეფექტი ჯამური ღირებულებით 2,024,326 ლარი (2022: 703,256 ლარი) ასახულია სხვა რეზერვებზე, როგორც დამფუძნებელთან განხორციელებული ოპერაცია.

სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შემოსავალი და ხარჯები	დაკავშირებული მხარე	2023	2022
ფინანსური ხარჯი, წმინდა	სხვა*	(3,577,074)	(3,288,770)
უმაღლეს პირთა მოკლევადიანი შრომის ანაზღაურება	დირექტორი	(212,577)	(293,895)

(*) - სხვა წარმოდგენს საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ კომპანიას

21. პირობითი ვალდებულებები

იურიდიული საკითხები

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს სასამართლო დავა მოსარჩელესთან - ფიზიკური პირი ზაზა მამულაშვილი. სარჩელი შეტანილია შპს „რუსმეტალსა“ და შპს „რუსელოს“ შორის გაფორმებული ყველა აქტივის მიწოდების ხელშეკრულებისა და შპს „რუსმეტალის“ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებების ბათილობასთან დაკავშირებით და მიუღებელ შემოსავალთან დაკავშირებით. ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულების მიხედვით ბიზნესის შეძენის ფარგლებში კომპანიამ შეიძინა ჯამურად 16,958,239 ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები.

სარჩელი განიხილა რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ. 2024 წლის 20 მაისს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. დეტალები წარმოდგენილია 22-ე შენიშვნაში.

კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

შპს რუსელოს

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

21. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

დამატებითად, რუსთავის სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებით შპს "რუსელოს" ეკრძალება შემდგომი უძრავი და არამატერიალური აქტივების გასხვისება:

- მარის არხის დასახლება #174; რკინიგზა; რკინიგზის ჩიხი; 247,06 მ (კოდი 02.00.030)
- მარის არხის დასახლება #174; რკინიგზა; რკინიგზის ჩიხი; 590.81 მ (კოდი 02.00.029)
- მარის არხის დასახლება #174; რკინიგზა; რკინიგზის ჩიხი 69,74 მ 2/კვ (კოდი 02.00.028)
- ქალაქი რუსთავი მარის არხი #174; დაზუსტებული ფართობი 3 248 კვმ შენობა-ნაგებობა #1 - საერთო სარგებლობის ფართობი 2 070,53 კვმ; (კოდი 02.07.02.462)
- ქალაქი რუსთავი, მარის არხის #174; დაზუსტებული ფართობი 55 581 კვმ (კოდი 02.07.02.463)
- ქალაქი რუსთავი, მარის არხის #174; დაზუსტებული ფართობი 29 413 კვმ; (კოდი 02.07.02.482) (ფეროშენადნობთა ქარხანა)
- ქალაქი თერჯოლა, დაზუსტებული ფართობი 10 388 კვმ ; (კოდი 33.09.43.026)
- ქალაქი თერჯოლა, დაზუსტებული ფართობი 2 331 კვმ; (კოდი 33.09.43.028)
- "შქმერის" მანგანუმის მოპოვების ლიცენზია №1003261

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო

საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

სასესხო ხელშეკრულებების კოვენანტებთან შესაბამისობა

სს თიბისი ბანკისგან მიღებული სასესხო ხელშეკრულების ფინანსური შეზღუდვების მიხედვით:

- კომპანიამ უნდა უზრუნველყოს საბრუნავი კაპიტალის შენარჩუნება (მიმდინარე აქტივებს გამოკლებული მიმდინარე ვალდებულებები) მინიმუმ 1,500,00 USD დონემდე;
- დებიტორულმა დავალიანებამ არ უნდა გადააჭარბოს საბრუნავი კაპიტალის 70%;
- ჯამურმა სასესხო ვალდებულებებმა არ უნდა შეადგინოს საოპერაციო მოგების (EBITDA) 350% მეტი 2016 წელს; 300%-ზე მეტი შემდგომ წლებში;
- სესხის მომსახურების კოეფიციენტმა (DSCR) არ უნდა შეადგინოს 1.2 -ზე ნაკლები 2016 წელს, ხოლო 1.3 -ზე ნაკლები შემდგომ პერიოდში (კოეფიციენტი დაითვლება შემდეგნაირად (EBITDA – Profit Tax-Lease Payment – Capex Dividends + Shareholder investments)/Debs Payment(ძირითადი თანხა და %);

სს თიბისი ბანკისგან მიღებული სასესხო ხელშეკრულების არაფინანსური შეზღუდვების მიხედვით:

- სესხის გაცემიდან მაქსიმუმ 4 თვის ვადაში წარმოადგინოს ობიექტის ტექნიკური due diligence;
- სესხის გაცემიდან მაქსიმუმ 4 თვის ვადაში უნდა მოხდეს კომპანიის აქტივების და დანადგარების მწყობრიდან გამოსვლის შედეგად დამდგარი business interruption-ის დაზღვევა ბანკისთვის მისაღებ სადაზღვეო კომპანიაში მინიმუმ სესხის თანხაზე ბანკის სასარგებლოდ;
- სესხის გაცემიდან მაქსიმუმ 4 თვის ვადაში უზრუნველყოს საწარმოო სიმძლავრეების სრულად აღდგენა;

21. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

- მსესხებელს არა აქვს უფლება ბანკის წერილობითი ნებართვის გარეშე გააფორმოს ლიზინგი, აილოს სესხები ან რაიმე სხვა ფინანსური ვალდებულება;
- მსესხებელს არა აქვს უფლება ბანკის წერილობითი ნებართვის გარეშე გასცეს ფინანსური გარანტიები ან მოთხოვნის უფლებით დატვირთოს სხვა პირების მიმართ მის საკუთრებაში არსებული აქტივები, ასევე არ მოხდეს მსესხებლის ან მისი გარანტორი კომპანიების წილების მოთხოვნის უფლებით დატვირთვა მესამე პირების სასარგებლოდ;
- მსესხებელს არ აქვს უფლება ბანკის წერილობითი ნებართვის გარეშე გაასხვისოს, იჯარით გასცეს ან რაიმე სხვა ფორმით სხვას განკარგულებაში გადასცეს მის საკუთრებაში არსებული ფიქსირებული აქტივები;
- მსესხებელს არ აქვს უფლება ბანკის წერილობითი ნებართვის გარეშე განახორციელოს კაპიტალური დანახარჯები (რომელიც წლიურად აღემატება 50 000 USD -ს) ან ინვესტიციები სხვა კომპანიაში. კომპანიას შეუძლია ბანკს წერილობითი თანხმობის გარეშე განახორციელოს კაპიტალური დაზანდებები წლიური 400 000 USD დოლარის ფარგლებში, იმ შემთხვევაში თუ კომპანიის წლიური (DSCR) სესხის მომსახურების კოეფიციენტი არ იქნება 1.3 -ზე ნაკლები;
- მსესხებელს არ აქვს უფლება ბანკის წერილობითი ნებართვის გარეშე გასცეს დივიდენდები, იმ შემთხვევაში თუ კომპანიის წლიური სესხის მომსახურების კოეფიციენტი შეადგენს 1.3 -ზე ნაკლებს, აღნიშნული (DSCR) სესხის მომსახურების კოეფიციენტის გაანგარიშება განხორციელდეს წლის აუდიტებული ფინანსებით. დივიდენდის განაწილება მოხდეს საანგარიშო წლის დახურვის შემდგომ;
- მსესხებელს არ აქვს უფლება ბანკის წერილობითი ნებართვის გარეშე გასცეს სესხები;
- სესხის მოქმედების პერიოდში, სამეწარმეო რეესტრის ამონაწერში საგადასახადო გირავნობის ან ყადაღის გაჩენის შემთხვევაში, მსესხებელი ვალდებულია, უზრუნველყოს მისი მოხსნა 90 კალენდარული დღის განმავლობაში;
- სესხის მოქმედების პერიოდში, ანგარიშზე ინკასოს ან ყადაღის გაჩენის შემთხვევაში, მსესხებელი ვალდებულია უზრუნველყოს მისი მოხსნა 30 კალენდარული დღის განმავლობაში;
- მსესხებელი ვალდებულია საბანკო ბრუნვების და საბანკო ნაშთების 100% აწარმოოს თიბისი ბანკში მის არსებულ ანგარიშზე. ასევე, ვალდებულია სრული სახელფასო პროექტი იქონიოს სს „თიბისი ბანკში“.

კომპანია ვერ აკმაყოფილებს სასესხო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფინანსურ მოთხოვნებს 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რაც შესაძლოა გახდეს შემდეგი გარემოებების საფუძველი: ბანკმა კლიენტისთვის შეტყობინებით ცალმხრივად გაზარდოს სესხის საპროცენტო განაკვეთი მაქსიმუმ 10%-მდე, მოითხოვოს ბანკის მიერ განსაზღვრული ოდენობის თანხის დეპონირება ბანკის მიერ მითითებულ ანგარიშზე კლიენტის ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად, თუ დარღვევა მეორდება სისტემატურად, ბანკს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება და უკან მოითხოვოს სესხი ან მისი გარკვეული ნაწილი.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, კომპანიამ მოიპოვა ბანკისგან კომფორტის წერილი სახელშეკრულებო მოთხოვნების დარღვევაზე. დეტალები წარმოდგენილია 22-ე შენიშვნაში.

22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

სასესხო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ კოვენანტებთან შესაბამისობა

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, მოცემული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე კომპანიამ მოიპოვა ბანკისგან წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ არსებული დარღვევების გამო, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამსესხებელი არ ითხოვს სესხის ვადაზე ადრე დაფარვას, თუმცა, წერილში აღნიშნულია, რომ ბანკი უარს არ ამბობს ხელშეკრულებით მისთვის მინიჭებული უფლების გამოყენებაზე თუ დარღვევები არ აღმოიფხვრება 2024 წლის 1 იანვრის შემდგომ.

შპს რუსელოის

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები (გაგრძელება)

დამფუძნებლების მზადყოფნა კომპანიის დაფინანსებასთან დაკავშირებით

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, მოცემული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე, კომპანიის ხელმძღვანელობამ მიიღო წერილი ფინანსირების შესახებ საბოლოო ბენეფიციარი მფლობელისგან. წერილის მიხედვით, კომპანიის მფლობელი მზად არის კომპანიისთვის ხელმისაწვდომი გახადოს დამატებითი ფინანსური რესურსები, საჭიროების შემთხვევაში. ფინანსური რესურსები შესაძლებელია წარმოადგენდეს შემდეგს: შენატანი კაპიტალში, ფინანსირება სუბორდინირებული სესხების მეშვეობით და ასე შემდეგ. კომპანიის დამფუძნებელს და ხელმძღვანელობას სჯერათ, რომ კომპანია შეძლებს პროგნოზირებად მომავალში გააგრძელოს საქმიანობის გაგრძელება ოპერაციების მნიშვნელოვნად შემცირების გარეშე.

ცვლილებები მიღებულ სესხებში

2024 წელს კომპანიამ დაკავშირებული მხარეებისგან მიიღო სესხები ჯამურად 8,034,425 ლარის ოდენობით. სესხების ძირითადი თანხისა და მათზე დარიცხული პროცენტის დაფარვის ვადები განსაზღვრულია, 2024 წლით, ხოლო საპროცენტო განაკვეთი - 8%-ით. ასევე, 2024 წელს კომპანიამ არადაკავშირებული კომპანიებისგან 630,000 ლარის ოდენობის სესხი. სესხის ძირითადი თანხისა და მასზე დარიცხული პროცენტის დაფარვის ვადა განსაზღვრულია, არაუგვიანეს 2024 წლის 31 დეკემბრისა, ხოლო საპროცენტო განაკვეთი - 12.5%-ით.

2024 წელს კომპანიამ დაფარა 8,406,563 ლარის სასესხო ვალდებულება, მათ შორის ფინანსური ინსტიტუტის სასესხო ვალდებულება 1,010,390 ლარის ოდენობით.

2024 წლის რეალიზაცია

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, მოცემული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე, კომპანიამ მოახდინა 19,849,167 ლარის ღირებულების ფეროქრომის რეალიზაცია. ასევე, კომპანიამ გაყიდა 15,612,409 ლარის ღირებულების ფერო-სილიკო-მანგანუმი, მათ შორის 15,612,409 ლარის პროდუქტის რეალიზაცია განხორციელდა ერთი ტრანზაქციით შპს სტილ ინტერნიუმენლ ტრეიდინგ კომპანისთან.

სასამართლო დავა

შპს „რუსმეტალსა“ და შპს „რუსელოის“ შორის გაფორმებული ყველა აქტივის მიწოდების ხელშეკრულებასთან დაკავშირებული საქმე განიხილა რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ 2024 წლის 20 მაისს. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. 2024 წლის 12 ნოემბერს საქმე განსახილველად გადაეგზავნა სააპელაციო სასამართლოს. მოცემული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვის უცნობია, თუ როდის იგეგმება საქმის სააპელაციო წესით განხილვა.

შპს რუსელოს

მმართველობის ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

სარჩევი

1. წარდგინება დირექტორისგან	43
2. საქმიანობის მიმოხილვა	43
3. პროდუქტი	44
4. ლაბორატორია	45
5. თანამშრომელთა გუნდი	45
6. ჯანსაღი გარემო შრომისთვის / ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე	45
7. საკუთარი აქციების გამოსყიდვა	46
8. კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები	46
9. რისკ ფაქტორები	46
10. მოკლე ფინანსური მიმოხილვა	46

1. წარდგინება დირექტორისგან

მოხარული ვარ წარმოგიდგინოთ შპს რუსელოის მმართველობის ანგარიშგება. ანგარიშგების მიზანია თვალსაჩინო გაეხადოთ კომპანიის საქმიანობის სპექტრი. ჩვენი მოწოდებაა გავზარდოთ არსებული ბიზნესი, ხარისხის და ეფექტურობის პარალელურად.

ჩვენი რესურსები ორიენტირებულია ხარჯების ეფექტურობასა და შემოსავლის გაზრდაზე, რათა კომპანია იყოს მომგებიანი, შექმნას მეტი სამუშაო ადგილი და წვლილი შეიტანოს ქვეყნის აღმშენებლობაში.

2. საქმიანობის მიმოხილვა

კომპანიის შესახებ

შპს რუსელოის დაარსდა 2015 წლის 26 ნოემბერს. დღეის მდგომარეობით კომპანიის გენერალური დირექტორი გახლავთ ნუგზარ კველიშვილი. საწარმოს წილობრივი განაწილება მმართველობის ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის გამოიყურება შემდეგნაირად:

კომპანია WINDMOON LIMITED კვიპროსი - 100 %-იანი წილის მფლობელი.

კომპანია რუსელოის მმართველი ორგანო არის სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც შედგება სამი წევრისგან:

თავმჯდომარე / წევრი: ჯანი მიხაილოვი პ/N 01002008126

წევრი: ირაკლი ხვედელიძე პ/N 01012013376

წევრი: შალვა შალაშვილი პ/N 01027058350

კომპანიის საქმიანობა


შპს რუსელოის დაარსდა 2015 წლის ნოემბერში და იგი ფეროშენადნობთა ერთ-ერთი მსხვილი მწარმოებელი და ექსპორტიორია საქართველოში. კომპანიის კუთვნილი ფეროშენადნობთა ქარხანა აშენდა 2005 წელს და აღჭურვილია ორი 9MVA სიმძლავრის ღია ტიპის ელექტრო რკალური ღუმელით.

ქარხანა მდებარეობს თბილისთან ახლოს, ინდუსტრიულ ქალაქ რუსთავეში, რომელიც ისტორიულად წარმოადგენს ქვეყნის მეტალურგიულ ცენტრს. ქარხნის პერსონალი (400 თანამშრომლამდე) დაკომპლექტებულია ადგილობრივი კადრებით, რომელთაც მეტალურგიულ სექტორში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვთ.

გარდა ფეროშენადნობთა წარმოებისა კომპანია ფლობს მანგანუმის მადნის რამდენიმე საბადოს დასავლეთ საქართველოში და ახორციელებს მადნის მოპოვებას და მანგანუმის მოპოვებას.

კომპანიის სტრუქტურა

კომპანიის სტრუქტურა შედგება ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზით დაკავშირებული დეპარტამენტებისაგან / სამსახურებისაგან, რომელთაგან თითოეული ექვემდებარება შესაბამის დირექტორს და შემდგომ გენერალურ დირექტორს.



სწორედ ეს დანაყოფები არიან პასუხისმგებელი კომპანიის ოპერაციულ საქმიანობაზე. ნებისმიერი დეპარტამენტისთვის / სამსახურისათვის ცალკეულად ყალიბდება პროცედურული დოკუმენტაცია, რომელიც შემდგომ იყოფა თითოეული თანამდებობისათვის მიკუთვნებული ფუნქცია-მოვალეობებისათვის დამახასიათებელი პროცედურის აღწერილობით.

ჩვენი სტრუქტურის ჩამოყალიბებისა და განახლებების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება უფლება-მოვალეობების ზუსტ გამიჯვნასა და პროცედურული ინსტრუქციების ნათლად გამოსახვას, რათა მოხდეს შესასრულებელი სამუშაოს სრულად დაფარვა და ეფექტურად იქნეს გამოყენებული ადამიანური თუ მატერიალური რესურსი.

3. პროდუქტი

შპს რუსელოის მთავარ პროდუქტს წარმოადგენს ფეროსილიკომანგანუმი (FeSiMn) და ფეროქრომი (FeCr). ფეროსილიკომანგანუმის საშუალო წარმოება შეადგენს 900-1200 მეტრულ ტონას თვეში, ხოლო ფეროქრომის საშუალო წარმოება 1050 მეტრულ ტონას. არსებული ღუმელების კონსტრუქცია ასევე იძლევა ფეროსილიციუმის და ფერომანგანუმის წარმოების საშუალებას.

შპს რუსელოის ერთ-ერთი მსხვილი ექსპორტიორია აშშ-სა და ევროკავშირის ქვეყნების ბაზრებზე მუშაობის გამოცდილებით.



4. ლაბორატორია

კომპანია რუსელოის ქარხნის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ქიმიური ლაბორატორია, სადაც უწყვეტ ციკლში ხდება შემოსული ნედლეულის და მეტალის ყოველი ნაღობის შედეგად მიღებული პროდუქციის სრული ანალიზი. შესაბამისად, ჩვენს მიერ წარმოებული პროდუქციის მაღალი ხარისხი უწყვეტ რეჟიმშია უზრუნველყოფილი და შემოწმებული.

5. თანამშრომელთა გუნდი

შპს რუსელოისში დასაქმებულია 400-მდე თანამშრომელი. კომპანიის საქმიანობის წარმატებულად წარმართვაში არსებით როლს ასრულებს ადამიანური რესურსი, ამიტომ ვცდილობთ შევქმნათ ოპტიმალური პირობები ეფექტური შრომისა და კარიერული განვითარებისთვის. თანამშრომელზე ორიენტირებული მიდგომის საბაზისო საყრდენი სამართლიანობაა, რომელთა გამოვლენას კომპანია ცდილობს ადეკვატური ანაზღაურების და დამატებითი ბონუსების გაცემით. ასევე კომპანიაში დანერგილია პრემირების სისტემა და შექმნილია თანამშრომელთა მატერიალური დახმარების ფონდი. კომპანია რუსელოის თანამშრომლები ასევე უზრუნველყოფილი არიან კვებითა და ტრანსპორტით.

საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი, ყველა საჭირო აღჭურვილობით.

შპს რუსელოისში დასაქმებული პირები გამოირჩევიან მაღალი კვალიფიკაციით და პროფესიონალიზმით. მათი მრავალწლიანი გამოცდილება ფეროშენადნობების წარმოებაში უზრუნველყოფს კომპანიის ეფექტურად მუშაობას და პროდუქციის მაღალი ხარისხის მიღებას.

შპს რუსელოისი ასევე ყოველთვის ზრუნავს კომპანიაში დასაქმებული კადრების კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

საჭირო კადრების მოზიდვის მიზნით კომპანია თანამშრომლობს სხვადასხვა პროფესიულ სასწავლებლებთან.

კომპანია რუსელოისი მუდმივად ცდილობს თანამშრომელთა გადინების პროცენტი მინიმუმამდე დაიყვანოს.

6. ჯანსაღი გარემო შრომისთვის / ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე

აღსანიშნავია, რომ საქმიანობის დაწყებიდან დღემდე შპს რუსელოისის მიმართ არასოდეს აღმრულა საქმე შრომით დავებთან დაკავშირებით. კომპანია აცნობიერებს, რომ თანამშრომლები კომპანიის წარმატების საწინდარია, ამიტომ კომპანია ცდილობს შესაძლებლობების მიხედვით ყველა თანამშრომელს შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები განვითარებისთვის.

აღსანიშნავია ისიც, რომ კომპანია მკაცრად იცავს თანამშრომლების, მომწოდებლების და მისი კლიენტების პერსონალურ მონაცემებს.

შპს რუსელოისი ცდილობს თანამშრომლებს შრომისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო შეუქმნას. კომპანიის თანამშრომლები სამუშაო პროცესში აღჭურვილნი არიან სპეციალური სამუშაო ტანსაცმლით, ჩაფხუტებით და პირბადეებით, რომელიც იცავს თანამშრომელს დაზიანებისგან.

კომპანიის შენობაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინფრასტრუქტურა.

წარმოებაში ფუნქციონირებს კეთილმოწყობილი საშაპე და სასადილო. დასაქმებულებს გააჩნიათ უბედური შემთხვევის დაზღვევა, ჯანმრთელობის დაზღვევა და პერიოდულად უტარდებათ სამედიცინო შემოწმება.

ბრძანებით დანიშნულია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც გავლილი აქვს შესაბამისი სასწავლო კურსი. საწარმოს კუთვნილ ტერიტორიაზე ხორციელდება საფრთხეებისა და რისკების იდენტიფიცირება. თანამშრომლებს სისტემატურად უტარდებათ სწავლება/ინსტრუქტაჟი. ხორციელდება სამუშაო გარემოს საშიში ფიზიკური ფაქტორების (საწარმოო ხმაური, ტემპერატურა, ვიბრაცია) გაზომვა და შეფასება. დასაქმებულები სრულყოფილად არიან აღჭურვილი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (სათვალე, რესპირატორი, ხელთათმანი, ხმის დამხშობი, სპეც-ტანსაცმელი, ჩაფხუტი.) საწარმოში დამონტაჟებული ყველა მოძრავი მექანიზმი აღჭურვილია დამცავი ხუფით.

7. საკუთარი აქციების გამოსყიდვა

კომპანიას 2023 და 2022 წლის განმავლობაში არ გამოუსყიდია საკუთარი აქციები და არც მიმდინარე ეტაპზე გეგმავს ამას.

8. კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები

2023 და 2022 წლის განმავლობაში კომპანიის მიერ არ დაწერგილა ინოვაციური ღონისძიებები, რომელიც ახალი ან უკვე არსებული პროდუქტების განვითარებას ან გაუმჯობესებას უკავშირდება.

9. რისკ ფაქტორები

კომპანია რუსელოისის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რისკ ფაქტორს წარმოადგენს მისი პროდუქტის ცვალებადი ფასი. პროდუქციის გასაყიდ ფასს განაპირობებს საერთაშორისო ბაზარზე არსებული ფეროშენადნობი პროდუქციის მოთხოვნა/მიწოდების მდგომარეობა (საერთაშორისო საიტი CRU INTERNATIONAL LTD). გასაყიდი ფასის მაჩვენებელიც ხელმისაწვდომია იმავე საიტზე, სადაც ყოველი თვის ბოლოს იდება ფეროსილიკომანგანუმის და ფეროქრომის გასაყიდი ფასი და ამ ფასით ხელმძღვანელობს საერთაშორისო ბაზარზე არსებული ყველა კომპანია.

რუსელოისის ერთ-ერთ რისკ ფაქტორს აგრეთვე წარმოადგენს ფეროსილიკომანგანუმის და ფეროქრომის საწარმოებელი ელექტრო რკალური ღუმელების ტექნიკური მდგომარეობა. ღუმელების გაუმართაობის გამო შესაძლოა შეფერხდეს პროდუქციის წარმოება. აქედან გამომდინარე რუსელოისს შესაძლოა არ ქონდეს საკმარისი რაოდენობის პროდუქტის კლიენტების მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. ამ რისკის აღმოსაფხვრელად ღუმელებს პერიოდულად უტარდებათ მიმდინარე სარემონტო სამუშაოები და ხდება მათი დროული გამართვა. აგრეთვე საწარმოო პროცესის გამართული მუშაობისთვის კომპანიას უკრაინიდან ჩამოყვანილი ჰყავს კონსულტანტი, რომელიც საწარმოო პროცესის გამართულ მუშაობას უზრუნველყოფს.

10. მოკლე ფინანსური მიმოხილვა

შპს რუსელოისის სააღრიცხვო პოლიტიკა დაარსების დღიდან ფასს სტანდარტებთან თანხვედრაშია და კომპანია ფინანსურ აღრიცხვას აწარმოებს ფასს-ის შესაბამისად.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2023 წელი	2022 წელი
სულ აქტივები	44 583 238	21 490 820
სულ კაპიტალი	(48 373 278)	(39 894 352)
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	44 583 238	21 490 820

შპს რუსელოს
მმართველობის ანგარიშგება
2023

სრული შემოსავლის ანგარიშგება	2023 წელი	2022 წელი
სულ შემოსავლები	49 683 571	56 439 452
სულ საოპერაციო ხარჯები	(56 416 541)	(59 597 737)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)	(6 732 970)	(3 158 285)
სხვა ფინანსური კომპონენტები	(3 770 282)	3 070 931
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	(10 503 252)	(87 354)
მოგების გადასახადის შემოსავალი	-	-
მთლიანი სრული (ზარალი)/შემოსავალი	(10 503 252)	(87 354)

შპს რუსელოსის გაუარესებული ფინანსური მდგომარეობა გამოწვეულია საერთაშორისო ბაზარზე ფეროსილიკომანგანუმის და ფეროქრომის გასაყიდი ფასის დაცემით და პროდუქციის მაღალი თვითღირებულებით.

სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტის ცვლილება 2023 წელს 2022 წელთან შედარებით გამოწვეულია კომპანიაში არსებული ფინანსური კრიზისის გამო.

	2023 წელი	2022 წელი
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი	22%	4%

მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტის ცვლილება 2023 წლის 2022 წელთან შედარებით გამოწვეულია კომპანიაში არსებული ფინანსური კრიზისის გამო.

	2023 წელი	2022 წელი
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	32%	12%

ROE - უკუგება საკუთარ კაპიტალზე	კომპანიის ზარალიდან გამომდინარე მიზანშეწონილი არ არის ამ კოეფიციენტის დათვლა
---------------------------------	--

ROA - უკუგება მთლიან აქტივებზე	კომპანიის ზარალიდან გამომდინარე მიზანშეწონილი არ არის ამ კოეფიციენტის დათვლა
--------------------------------	--

მარაგების ბრუნვის კოეფიციენტის ცვლილება 2023 წელს 2022 წელთან შედარებით გაიზარდა. ეს გამოწვეულია კომპანიაში არსებული ფინანსური კრიზისის გამო.

მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი (დღე)	65 დღე	26 დღე
-------------------------------------	--------	--------

კრედიტორული დავალიანების დაფარვის პერიოდის ცვლილება გამოწვეულია კომპანიაში არსებული ფინანსური კრიზისის გამო.

კრედიტორული დავალიანების დაფარვის პერიოდი (დღე)	202 დღე	92 დღე
---	---------	--------

შპს რუსელოს

მმართველობის ანგარიშგება

2023

დებიტორული დავალიანების ბრუნვის კოეფიციენტის ცვლილება 2023 წელს 2022 წელთან შედარებით გამოწვეულია კომპანიაში არსებული ფინანსური კრიზისის გამო.

დებიტორული დავალიანების ბრუნვა (დღე)	78 დღე	8 დღე
--------------------------------------	--------	-------

ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 20 ნოემბერს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი

ნუგზარ კეკელიშვილი

მთავარი ბუღალტერი

ნათია კირთაძე

შპს რუსელოის

მმართველობის ანგარიშგება

2023

დებიტორული დავალიანების ბრუნვის კოეფიციენტის ცვლილება 2023 წელს 2022 წელთან შედარებით გამოწვეულია კომპანიაში არსებული ფინანსური კრიზისის გამო.

დებიტორული დავალიანების ბრუნვა (დღე)	78 დღე	8 დღე
--------------------------------------	--------	-------

ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 20 ნოემბერს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი

ნუგზარ კველიშვილი

მთავარი ბუღალტერი

ნათია კირთაძე

